# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-ორშაბათი, 24-26 ოქტომბერი. 2020 წ. №141-142 (9067-9068) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი




## გამორთეთ „პანდორას ყუთები“!

5

## სიღარიბე თუ... „ტვინების გამორეცხვა“?!

## ამ კაცს სხვათა ოჯახური ბედნიერებაც სწადია!..

### საქართველოს პარლამენტში მხოლოდ ღირსეული ადამიანები უნდა შევიდნენ

**ვფიქრობ, ეს მოთხოვნა საქართველოს მოსახლეობის 90-95%-ის სურვილია, რადგან პარლამენტი და პარლამენტარი არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურის, კანონიერების, ინტელექტის, ზნეობისა და შემოქმედებითი ყოფიერების წარმოსახვის სამყარო. და, ეს სამყარო მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა პატრიოტულ და ზნეობრივ ზეობას უნდა ემყარებოდეს!**

**პარლამენტი უცხოური სიტყვაა და ლაპარაკს (სალაპარაკო ადგილს) ნიშნავს. ასეთ ორგანოს აშშ-ში კონგრესი ჰქვია. იგი პირველად ინგლისში შეიქმნა, როგორც წოდებრივი წარმომადგენლობითი ორგანო, რეალური მნიშვნელობა კი XVII-XVIII საუკუნეებში მიიღო. ქართველებს მსგავსი ორგანო (ისნის კრებულთა საბჭო, რუის-ურბნისის კრება და ა.შ.) XII საუკუნის დასაწყისშივე ჰქონდათ! დღევანდელი პარლამენტის სახელწოდებით კი საქართველოს დამფუძნებელთა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო.**

სადღეისოდ მოქმედი საქართველოს ძირითად კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილია (მუხლი 36): **„საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს“**. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონსტიტუციით საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა (მუხლი 3), სამართლებრივი სახელმწიფო (მუხლი 4), სოციალური სახელმწიფო (მუხლი 5) და სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი, ცხადი ხდება, რაოდენ დიდია პარლამენტის წევრის პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე. ჩემი აზრით, პარლამენტის დეპუტატი არის ადამიანსა (საზოგადოებასა) და კანონს (მიღებულსა და მისაღებს) შორის დამაკავშირებელი ოქროს ჯაჭვი, რომელმაც ხალხის გონიერება, სურვილები უნდა გააანალიზოს, განსაჯოს და ცხოვრებისეული სიბრძნის სახით ჩააქსოვოს მისაღებ კანონებში. მიღებული კანონები კი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისა და აღმავლობის წყაროდ უნდა იქცეს. ამდენად, ძალზე დიდია დეპუტატის პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. დეპუტატის უდიდესი მოვალეობაა საკუთარი ერის შვილებისა და მომავალი თაობებისათვის შესაფერისი ცხოვრებისეული ამინდის შექმნა. დეპუტატი უნდა იყოს ეროვნული და მამულიშვილური სულისკვეთებით აღსავსე, სულიერი ფასეულობებით შემკული, უნდა სწამდეს და ეშინოდეს უფლის, უნდა უყვარდეს ახალგაზრდობა და დღენიადაგ ზრუნავდეს მათთვის ნაყოფიერი შემოქმედებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაქმნელად, ეფექტური კანონების მისაღებად. იგი უნდა იყოს უმაღლესი განათლებით, ცხოვრებისეული დიდი გამოცდილებით, დაგროვილი სიბრძნით, არანაკლებ 50 წლის ასაკის და ადამიანი ჭეშმარიტი სულისკვეთებით.


იხ. 3 გვ.


## აკელამ ააცდინა!..

### ფხიზლად იყავით, ფხიზლად, ო, მგლებო!



ის, რაც სამშაბათს მოხდა ზუგდიდში, კიდევ დიდხანს იქნება სალაპარაკო.

საამისოდ ბევრი მიზეზი არსებობს.

პირველ ყოვლისა ის, რომ ბანკის ძარცვა მძევლების აყვანით, პირობების წამოყენებით, პოლიციასთან ხანგრძლივი მოლაპარაკებით, მძევლების ნაწილ-ნაწილ გათავისუფლებით, სამხარეო პოლიციის უფროსის მიერ მძარცველისთვის შეპირებული თანხის მიტანით (არსებითად მძევლად შესვლით) და სამ სხვა მძევალთან ერთად მწვანე გზაზე გაცილებით (რომლის ბოლოშიც გაუჩინარდა „ჰონორართან“ ერთად), რაც ჰოლივუდის ყოველ მეორე პოლიციურ, განგსტერულ თუ მძაფრსიუჟეტიან ფილმს უდევს საფუძვლად. ეს იყო „დასავლურობისკენ“ იმ დიდი, უნაპირო ლტოლვის პირველი შემოფეთება, რასაც გაუთანაგავს ჩვენი ძიებით დაღლილი და არჩევნით გაბედნიერებული საზოგადოება. ეს იყო პირველი და, იმედია, არა უკანასკნელი ასეთი ძარცვა-თავდასხმა, რადგან წარმატებული შემთხვევა ბევრ მძარცველს აღუძრავს გამეორების სურვილს.

სალაპარაკო თემაა პოლიციის მოქმედებაც. უთუოდ მისასალმებელია, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ყველა, 43-ვე მძევალი გათავისუფლდა საღსალამათი, ეტაპობრივად – 14, 9, 8, 3... სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი ავთანდილ გალდავა მამაცურად მოიქცა, თვითონ შევიდა და შეიარაღებულ ბოროტმოქმედთან მოსალაპარაკებლად და ბოლომდე იყო მძევალთა უსაფრთხოების გარანტი.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მძევალთა უმტკივნეულოდ გათავისუფლება პოლიციის უდავო წარმატებაა, ოპერაციის საბოლოო შედეგი ყველასთვის როდია ასევე უდავო წარმატება. მძარცველმა ფული წაიღო და წავიდა. რაც უდავოა, სხვასაც აღუძრავს გამეორების მადასა და იმედს.


იხ. 7 გვ.




## ამერიკელი სენატორები ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ

## აი, რატომ 4 ვერ „დაასრულა“ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“?





## ობლის ცრემლივით ცამდე მართალი პოეტის დღე 6

# საქართველო არის ნატოს და დასავლეთის მთავარი მოკავშირე რეგიონში

**ДЕЦЕს, როგორც არასდროს, დგას ერთიანი დასავლური ალიანსის აუცილებლობის საკითხი, რომელიც მოიცავს აშშ-ს, გაერთიანებულ სამეფოს და ევროპის ქვეყნებს და დადგება თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე. ამ კონტექსტში ნატომ სასიცოცხლო მნიშვნელობის როლი უნდა შეასრულოს. ევროპის თანამედროვე უსაფრთხოების არქიტექტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ბრექსიტის შემდგომი ბრიტანეთი, მისი როლი და ვალდებულებები,** – ბრიტანული გამოცემა „დეილი ტელეგრაფი“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას სტატიას, სახელწოდებით „ბრექსიტის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი რუსეთის აგრესიისგან შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში დაგვეხმარება“ აქვეყნებს.

**„თავისუფალი სამყაროს ამ საერთო ხედვის ფარგლებში საქართველო მზად არის და შეუძლია, იყოს პარტნიორი. „ქართული ოცნების“ მთავრობა ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს თავდაცვაზე, ჩვენი თავდაცვის, სამხედრო უნარების და შესაბამისი შესაძლებლობების შემდგომ განმტკიცებაზე და ნატოს ჯარებთან ურთიერთქმედების გაღრმავებაზე. საქართველოსთვის დიდი სარგებელი მოაქვს საერთაშორისო წვრთნებს და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას დასავლელი პარტნიორების მხრიდან. როდესაც ვლაპარაკობთ რეგიონში არსებული საფრთხეებისა და უსაფრთხოების გარემოს შესახებ, რომელშიც საქართველოს უწევს არსებობა, ჩვენ ვგულისხმობთ შავი ზღვის ფართო რეგიონს და შავი ზღვის უსაფრთხოების თემას. საქართველოსთვის არსებითია, რომ შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა აღიარებული იყოს ჩვენი უახლოესი პარტნიორების მიერ, კერძოდ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ბრიტანეთის მთავრობის მიმდინარე განხილვების ფარგლებში. შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიულადაა განლაგებული ევროპას, ევრაზიასა და შუა აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად, ამჟამინდელ სტრატეგიულ, სამხედრო და პოლიტიკურ სიტუაციას შავი ზღვის ფართო რეგიონში სერიოზული უარყოფითი შედეგები ექნება ყველა ევროპული და ნატოს წევრი ქვეყნისთვის. საქართველო არის ნატოს და დასავლეთის მთავარი მოკავშირე რეგიონში. საქართველოს, გამომდინარე მისი უნარიდან, მხარდაჭერა გაუწიოს ჩვენი საერთო უსაფრთხოების მიზნებს, შეუძლია წვლილის შეტანა რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, ასევე ჩვენი საერთო მოწინააღმდეგეების შეკავების საქმეში“,** – წერს გიორგი გახარია.

# მსხვილი საერთაშორისო კომპანიები საქართველოში საქმიანობით დაინტერესდებიან

**ნათია თურნავამ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრის ფარგლებში გამართულ მაღალი დონის დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.**

ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, დისკუსია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიური შეხვედრის ფარგლებში გაიმართა. დისკუსიაში „ციფრული ევროპა და ცენტრალური აზია: გახსნილი მომავლისთვის“ მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტები ანა ბიერდე და მახტარ დიოპი, ასევე – რეგიონის ქვეყნების საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლები.

მან გამოკვეთა რეგიონის ქვეყნებში ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით არსებული გამოწვევები და დღის წესრიგში დააყენა როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში ციფრული ტრანსფორმაციის მხარდაჭერის მიზნით დამატებითი ინვესტიციის განხორციელების აუცილებლობა, რათა ქვეყნებმა არამხოლოდ წარმატებით შეძლონ პანდემიასთან ბრძოლა, არამედ შეუფერხებლად განაგრძონ მდგრადი განვითარება. თავის გამოსვლაში ნათია თურნავამ ისაუბრა მთავრობის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც კომპანიებს ეძლევათ საშუალება, მიიღონ „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსი, ხოლო საერთაშორისო კომპანიებს უქმნის კომფორტულ პლატფორმას საქართველოში სამუშაოდ. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრია ერთ-ერთია, სადაც მომუშავე კომპანიებს ეს შეღავათი ეხებათ.

მინისტრის შეფასებით, შეღავათები ადგილობრივ კომპანიებს განვითარებისა და გაფართოების სტიმულს გაუჩენს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას. კიდევ ერთი ინიციატივა, რომელზეც ნათია თურნავამ აქცენტი გააკეთა, არის საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამა და პროექტი „Log in Georgia“, რომელიც საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მოამზადა. პროექტი უზრუნველყოფს რეგიონებში ფართოზოლოვან ინტერნეტქსელებთან ხელმისაწვდომობას. მინისტრის განცხადებით, ხარისხიანი და უწყვეტი ინტერნეტკავშირის საჭიროება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გხდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი მუშაობის ციფრულ პლატფორმებზე გადავიდა.

# სკოლების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა უწყვეტ რეჟიმში გაგრძელდება

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდა. 120 მოსწავლეზე გათვლილი ახალაშენებული საჯარო სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ტყიბულისა და თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან ელგუჯა გოცირიძესთან ერთად მოინახულა.**

სიქთარვის საჯარო სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალით ააშენა. პროექტის ღირებულება ორ მილიონ ლარზე მეტია. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის: მოწყობილია პანდუსები, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში ფუნქციონირებს სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები. შენობა აღჭურვილია ახალი ინვენტარითა და ტექნიკით. ეზოში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების ღია სპორტული მოედანი და სარეკრეაციო სივრცე.

**არსებული გამოწვევების მიუხედავად, ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო. 2020-21 სასწავლო წლისთვის თბილისსა და რეგიონებში უკვე დასრულებულია 50 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ხოლო სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 800-მდე სკოლას.**

# საქართველოში უცხოეთიდან შემოსვლის ახალი რიგი და წესი

**იზოლაციისა** და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №322 დადგენილებაში 2020 წლის 21 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად უცხო ქვეყნიდან ჩამოსული საქართველოს მოქალაქეები, აგრეთვე მათი ოჯახის წევრები, **იზოლაციაში განთავსდებიან 8 დღით,** შემდეგი წესის შესაბამისად:

ა) უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა პირმა სასაზღვრო პუნქტებზე უნდა წარადგინოს საქართველოში ვიზიტამდე უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთი, რის შემდგომაც დაექვემდებარება თვითიზოლაციაში გადასვლას;

ბ) თუ პირი ვერ წარმოადგენს PCR ტესტს, დაექვემდებარება სავალდებულო წესით **საკარანტინე სივრცეში გადაყვანას;**

იგივე წესი მოქმედებს ქვემოთ მითითებული სახელმწიფოების მოქალაქეებისა და მუდმივი ბინადრობის (ცხოვრების) უფლების მქონე პირების მიმართ, როდესაც ისინი ამავე ქვეყნებიდან საჰაერო გზით მოემგზავრებიან:

**1. ესპანეთის სამეფო;**
**2. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო;**
**3. ნიდერლანდების სამეფო;**
**4. პოლონეთის რესპუბლიკა;**
**5. პორტუგალიის რესპუბლიკა;**
**6. რუმინეთი;**
**7. საბერძნეთის რესპუბლიკა;**
**8. შვედეთის სამეფო;**
**9. ხორვატიის რესპუბლიკა;**
**10. იტალიის რესპუბლიკა;**
**11. კვიპროსის რესპუბლიკა;**
**12. სლოვენიის რესპუბლიკა;**
**13. ისლანდიის რესპუბლიკა.**

**ყურადღება!** აღნიშნული წესი არ ეხება უცხოელ სტუდენტებს, მათთვის სავალდებულოა უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა და 12 დღიანი კარანტინი, საკუთარი ხარჯებით. დეტალური ინფორმაცია უცხოელი სტუდენტების საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გვერდზე: https://www.geoconsul.gov.ge/ka/newsFeed/nId/193

* * *

**საქართველოში შემოსვლისას იზოლაცია/კარანტინს არ ექვემდებარებიან:**

ა) საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული საზღვარგარეთის ქვეყნების/საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დელეგაციების წევრები – მათ სასაზღვრო პუნქტებზე უნდა წარადგინონ ოფიციალურ ვიზიტამდე უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთი;

ბ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის რესპუბლიკის, ლატვიის რესპუბლიკის, ლიეტუვის რესპუბლიკის და ესტონეთის რესპუბლიკის მოქალაქეები და ამავე ქვეყნების მუდმივი ბინადრობის (ცხოვრების) უფლების მქონე პირები, თუ საქართველოში მოემგზავრებიან საჰაერო გზით, ამავე ქვეყნებიდან.

მათ სასაზღვრო პუნქტებზე უნდა წარადგინონ საქართველოში შესვლამდე უკანასკნელი 72 საათის განმავლობაში ჩატარებული PCR კვლევის დამადასტურებელი საბუთი ან შემოსვლისას საკუთარი ხარჯით ჩაიტარონ PCR ტესტირება.

აღნიშნული პირები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაექვემდებარებიან იზოლაცია/კარანტინს, თუ სპეციალურ ელექტრონულ ანკეტაში, რომლის შევსებაც გამომგზავრებამდე უნდა მოხდეს, ბოლო 14 დღის განმავლობაში უფიქსირდებათ ევროკავშირის 18 ქვეყნის* გარეთ მოგზაურობა, ან ჩატარებული PCR კვლევის შედეგად დაუდასტურდებათ ახალი კორონავირუსის არსებობა.

**** გერმანია, საფრანგეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, ესპანეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, შვედეთი, ხორვატია, იტალია, კვიპროსი, სლოვენია, ისლანდია.***

# ამ კაცს სხვათა ოჯახური ბედნიერებაც სწადია!..

ზაზა დუგლაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

(პირველი გვერდიდან) დეპუტატისა და საერთოდ დეპუტატებისათვის ყოველი ცისმარე დღე მზის გასხივოსნებული რწმენითი სხივებითა და ერის წინსვლაზე მორგებული კანონების მიღებით უნდა იწყებოდეს! როგორია საქართველოს 30-წლიანი პარლამენტი? კრებული, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცრუ და არარეალური დაპირებები, ამომრჩეველთა (მხარდამჭერთა) მოტყუება, ღალატი, არაპროფესიონალიზმი, სხვისი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მუშტი-კრივი, „ფშვიტირი“, საკანონმდებლო ორგანოსა და საზოგადოებისადმი უპატივისმცემლობა, გაყალბებული დემოკრატიის ცნების გაფეტიშება, მომხვეჭველობა, საკუთარი ბიზნესის დაცვა, გრანტების „დათრევა“, ნათესავებისადმი შუამდგომლობა ტენდერებში გასამარჯვებლად, გაუთვიცნობიერებლად კანონისათვის ხმის მიცემა და ა.შ. და, თუ პარლამენტი ცხოვრებისეული კანონების ამოსავალი მზეა, მაშინ როგორც დიდი შოთა ბრძანებდა, „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია!“ რატომ ჩრდილავს ზემოაღნიშნული სიბილწე კანონთა საუნჯის ორგანოს? ვისი ბრალია? ვფიქრობ, ეს ღალატი დროსა და ხალხს ეკუთვნის! პარლამენტარი ისე „იღვწის“, როგორც „გასდის“. ქართველები დღეს ამერიკელებს ვბაძავთ და ვეტრფით. გგონია, რომ ყველაფერს დემოკრატიული პრინციპით აკეთებს, მაგრამ არ ვითვალისწინებთ ცალკეულ სიბრძნესაც. ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი პოპულარული პრეზიდენტი ლინკოლნი ბრძანებდა: **„დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ და ხალხისათვის!“** დამნაშავე ხალხია, რადგან მათი წაყრუებით სულის ჟღერადობა (საარჩევნო ხმა) 5 ლარიდან 200 ლარამდე გაიზარდა!!! ადამიანებმა სული გაყიდეს, ე.ი. სულიერად გაკოტრდნენ და რაღა მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვინ შევა პარლამენტში. მაგრამ ერი ჯერ კიდევ არ დაცემულა და ცოცხლობს. ძალზე დიდია ქართველი ერის ფესვები მადლიან ქართულ მიწაში და მისი ამოძირკვა სუპერსახელმწიფოებსაც არ ძალუძთ!

ეს მარტივი შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ერთმა ჩემმა სტუდენტობის ახლო მეგობარმა დამირეკა და მთხოვა, ჩვენი საერთო ნაცნობის კანდიდატურა დააყენა მმართველმა პარტიამ ხაშურ-ქარელის საარჩევნო მაჟორიტარულ ოლქში და იქნებ შეხვდე, შენ ცხოვრების დიდი გამოცდილება გაქვს და შენი შეხედულება მაგულისყურებსო. ახლო მეგობარს უარი ვერ ვუთხარი, მოვიძიე ამ კაცის ბიოგრაფიული მონაცემები და ჩემივე თაოსნობით შევხვდი მას.

**იგი გახლავთ ზაალ (იგივე ზაზა) დიმიტრის ძე დუგლაძე, დაბადებული 1971 წელს ხაშურში, დიმიტრი დუგლაძისა და მანანა ჩოჩიშვილი-დუგლაძის მრავალშვილიან ოჯახში. იგი 1977 წელს შევიდა ხაშურის №3 საშუალო სკოლაში, ხოლო 1986 წელს სწავლა განაგრძო თბილისის №57 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1988 წელს. ამ პერიოდში მას გარდაეცვალა საყვარელი დედა, ქალბატონი მანანა, რომელიც ძალზე მტკივნეულად განიცადა. 29 წლის ასაკში კი მოუწესრიგებელმა და ვერაგმა დრომ ტრაგიკულად გამოაცალა მას მზრუნველი და ოჯახის გამაერთიანებელი მამა — დიმიტრი დუგლაძე... 1989-1994 წლებში სწავლობდა და დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტი, ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1996 წელს მუშაობა დაიწყო სს „ვაზიანში“ ტექნოლოგად. 2000 წლიდან 2011 წლამდე ეკავა წარმოების უფროსის თანამდებობა. 2004 წელს დააარსა შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“ და 2012 წლიდან დღემდე მისი გენერალური დირექტორია. სიჭაბუკისა და სტუდენტობის პერიოდში მისდევდა სპორტს, დაკავებული იყო ჭიდაობით და სათხილამურო სპორტით. არის მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. ჰყავს მეუღლე ეკატერინე კოტარია-დუგლაძე, პროფესიით იურისტი და ორი ქალიშვილი: მარიამი (ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტი) და ელისაბედი (მე-11 კლასის მოსწავლე). ფლობს ქართულ და რუსულ ენებს, არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ჰყავს მოძღვარი — ზარზმის (ადიგენის მუნიციპალიტეტი) ეკლესიის წინამღვარი მამა ნიკოლოზი, რომელსაც აბარებს აღსარებას თავისი პიროვნებისა და ოჯახის პრობლემებზე და ზიარების სახით იღებს სულიერ საგზალს.**

ჩვენი შეხვედრა დათქმულ დროს შედგა და 3 საათი გაგრძელდა. პირველ რიგში გავეცანი დეპუტატობის კანდიდატის საარჩევნო პროგრამას (ბუკლეტს), რომელშიც ბატონ ზაზას გადატანილი აქვს თავისი გულისნადები, შეხედულებები, გამოცდილება, სურვილი და ეროვნული აღმშენებლობის გეგმები. მართლაც მეცნიერულ და რეალურ პრაქტიკულ დონეზეა შესრულებული პროგრამა ამომრჩეველთათვის. მასში ჭეშმარიტად არის ასახული რეალური მდგომარეობა, ქვეყანაში 30 წლის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები, მათი მეცნიერული ანალიზი, გამოსავალი გზები და განვითარების უახლოესი შესაძლო პროგრესი. ბატონ ზაზას ყველაზე მეტად ყურადღება გამახვილებული აქვს წარმოების განვითარებისა და ხალხის დასაქმებაზე. პროგრამა დასაბუთებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში ბოლო 8 წლის განმავლობაში განხორციელებული დადებითი ძვრებით და გაჯერებულია რეალური ციფრობრივი მონაცემებით, რომელიც განხორციელდა მმართველი პარტიის მიერ. ძირითადად წარმოდგენილია წარმოების სფერო და დასაქმება. ასევე ჯანდაცვის სისტემაში საკმაოდ სერიოზული და ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის მიზნით გატარებული რეფორმები, მსგავსი მდგომარეობაა განათლების, ტურიზმისა და სხვა სფეროებში. პროგრამა ისე კვალიფიციურად არის შედგენილი, რომ ძალზე ადვილია ანალიზის გაკეთება. ციფრობრივი მონაცემებით იკითხება როგორც მიღწევები, ასევე ნაკლოვანებებიც. პარლამენტის წევრობის კანდიდატი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა ხაშურისა და ქარელის ამომრჩევლებს და სთავაზობს, ამ მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებიდან გამომდინარე სამომავლო გეგმებსა და თანადგომას. დასახული გეგმების განხორციელება ჯერ ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში სურს, ხოლო აქ მიღებული შედეგი საქვეყნოდ სწადია განავრცოს. ჯერ ქვეყანაში სამეურნეო, სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება, შემდგომ კი საერთაშორისო არენაზე მშრომელი ქართველი ერის დიდებით წარმოჩენა.

შეხვედრისას მითხრა, **„ვაჟა ბატონო, გეგმები მართლაც კარგი მაქვს და იგი შეჯერებულია მმართველი პარტიის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ უფლის გარეშე არაფერი არ ხდება, უფალი რომ დაინახავს ჩემს გულწრფელ სურვილს, ამომრჩევლებთან დგომასა და ორმხრივ პატივისცემას, იგი აუცილებლად გვიწყალობებს**. დიდი იმედი მაქვს ჩვენი პარტიის ლიდერისა და დიდი ქველმოქმედის ბატონი ბიძინა ივანიშვილის დახმარების. მე ხაშურისა და ქარელის მცხოვრებთა კეთილდღეობა მწადია. ოჯახი დამაკმაყოფილებლად მაქვს მოწყობილი, მაგრამ კარგად მცხოვრები ჩემი შვილები სხვათა შვილების გაჭირვებული ცხოვრების პარალელურად ვერ იქნებიან ბედნიერნი. ჩვენ და მთელმა ერმა ჩვენს შვილებს რწმენით აღსავსე და ნათელი გზა უნდა შევუქმნათ. ღრმად და შინაარსიანად ვასწავლოთ ქართველი ერის სიხარულისა და ტანჯვის ცრემლებით შექმნილი დიდებული ისტორია! უნდა ვასწავლოთ სიბრძნის შეძენისა და მოთმინების უნარი, რადგან **ერის ისტორიული წინსვლა ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იცი, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და საით მიდიხარ. თუ ეს არ იცი, მაშინ ეს სვლა კი არა, ხეტიალია მხოლოდ დროსა და სივრცეში. ყველა განსწავლული ერი ყოველთვის ცდილობს ფაქიზად მოუაროს ყველა იმ ხილულ და უხილავ ძაფს, რომელიც აკავშირებს წარსულს არათუ აწმყოსთან, არამედ მომავალთანაც. წარსულისა და მომავლის უწყვეტობა არის ის დიდი მიზანი, რომელსაც ემსახურება ჩვენი კულტურაც**. ჩვენი ერის შვილებს, ყველაზე ნიჭიერთ და მადლით მოსილთ, უნდა ვასწავლოთ ქართული კულტურის საზღვარგარეთ წარმოჩენის უნარიც. უნდა ავუხსნათ, რომ ქართული ისტორიული შედევრები და წმინდანად შერაცხილი ქართველ ადამიანთა ძვლებითაა მოფენილი ევროპა და აზია. მათ უნდა იცოდნენ, რომ დედამიწის ზურგზე პირველი ქრისტიანული ეკლესია (საყდარი) საქართველოში (სოფ. დიდ აჭარაში) ააგო ანდრია პირველწოდებულმა; ამიტომ ვართ ქართველები უფლის რწმენით აღსავსენი. მსოფლიოში ყველაზე დიდი მორწმუნე ქალბატონი ქეთევანია, დიდი და ნამდვილი დემოკრატი თამარი, ევროპის რენესანსის ეპოქას თამარმა, შოთამ და „ვეფხისტყაოსანმა“ დაუდო სათავე... თუ იტალიურმა რენესანსმა ღმერთი გამიწიერა და ძეგლი დაუდგა, დიდმა შოთამ მიწიერი ადამიანი გააღმერთა და ცაში აიყვანა. შედევრებია ტატოს „მერანი“ და ლადოს „ღმერთების ენა“; ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, რომ არქიმანდრიტ-პროფესორ გაბრიელ ფერაძის მიერ მოპოვებული და ათონიდან, სირიიდან და იერუსალიმიდან წამოღებული უნიკალური ქართული ხელნაწერები და მ.შ. სამი ფასდაუდებელი XI, XII და XIII საუკუნეების პერგამენტი დღესაც ქ.კრაკოვში ინახება; გრიგოლ რობაქიძის უნიკალური ბიბლიოთეკა შვეიცარიის ბანკშია; ქართული ეკლესიის ისტორიული მასალები — რომში; მესხ-კათოლიკეთა უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი (83000 ერთეული) — სტამბოლში და ა.შ. ყველა მათგანი და კიდევ ვინ იცის რამდენი, სამშობლოში დაბრუნებას ელის. ქართული სტუმართმოყვარეობა და სუფრა მსოფლიოს აკადემიაა, უნიკალური ხორბლის პურით, ყურძნის ნაყურითა და სადღეგრძელოებით. მრავალგზის უნდა გავაჟღეროთ, რომ ყურძნისა და ღვინის სამშობლო საქართველოა. ამას მოწმობს საქართველოში აღმოჩენილი ყურძნის „წიპწები“, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-8 ათასწლეულს განეკუთვნება. ვფიქრობ, იგივე ასაკისაა ქართული ხორბალიც. ჩვენი აზრით, ქართული სუფრა იყო კრების, საბჭოსა და პარლამენტის შექმნის საფუძველი. ამ მადლით XX საუკუნის უდიდესმა მოაზროვნემ და მხედართმთავარმა სოსო ჯუღაშვილმა მსოფლიო დიპლომატიის დიდ გალავანს მსოფლიო პოლიტიკოსის სავარძელი დაადგა, შიგ ჩაბრძანდა და ერებს მართავდა!

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი შვილები უცხოეთში შედგენილ უნარ-ჩვევებს კი არ უნდა სწავლობდნენ, პირიქით, მსოფლიოს ბავშვები ქართველი ერის ისტორიას, უნარსა და შესაძლებლობებს უნდა სწავლობდნენ და თავად ისინი გამოიმუშავებენ საკუთარ უნარ-ჩვევებს. ასე რომ, წარმოებისა და დასაქმების პარალელურად უნდა მივხედოთ ახალგაზრდობას, ჩვენი ნათელი მომავლის შემოქმედს. რაც შეეხება საქართველოს მომავალს, იგი სამ ძირითად დედაბოძზე უნდა დავაფუძნოთ — ეროვნულ სულიერებაზე, სამართლებრივზე და ეკონომიკურზე. „ქვეყანა, რომელიც არ ეფუძნება სამართლის დედაბოძს, მას განვითარების პერსპექტივა არა აქვს“ (ბრძანებდა რომაელი ფილოსოფოსი მ. ციცერონი). ეს დედაბოძებიც ასაგები გვაქვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ადამიანთა ზნეობრიობაზე“. ალბათ, მკითხავთ, როგორ პარლამენტში მწადია მოღვაწეობა? „პარლამენტი უნდა იყოს აკადემიურად მოაზროვნე მამულიშვილთა კრებული, საიდანაც დღენიადაგ უნდა იფრქვეოდეს გასხივოსნებული ქართული კულტურა! ჩვენ თუ ერთმანეთს არ გავუფრთხილდით, ჩვენ თუ ერთმანეთის განსხვავებული აზრის ატანას არ მივეჩვიეთ და იმ კულტურას, რომელიც გულისხმობს მწვავე კამათს, მაგრამ ერთმანეთის პატივისცემას, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივალთ იქ, სადაც გვინდა, რომ მივიდეთ. ვერ მივალთ იმ დღემდე, თუ ერთმანეთი გზადაგზა ვხოცეთ!!!

შეხვედრის დასასრულ ვკითხე, ბატონო ზაზა, თქვენი ამომრჩეველთაგან რამდენ ხმას ელით? მითხრა: **„ადამიანის ხმა მისივე სულის ღირსებაა. ყველაფერი ამქვეყნად წარმავალია, ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ერთია განძი, რომელსაც ფასი არ ედება და უკვდავია, რომლისთვისაც ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ სიცოცხლეც კი არ დაიშურა. ეს არის ღირსება ადამიანის სულისა. ამ სულს უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ათასგვარი განსაცდელისაგან. ამ სულით გადმოდის უფლის კურთხევა ადამიანზე. ჩემი ცოდნით, ღირსებით, გამოცდილებით და დიდი გეგმებით დავდექი ამომრჩევლების წინ და მსურს, გავუძღვე უკეთესი ცხოვრებისა და კეთილდღეობისაკენ. თავად აირჩიონ და განსაჯონ, მე თუ სხვა“**.

დავრწმუნდი, რომ ჩემს წინ სიტყვისა და საქმის კაცი იჯდა, ფრიად განათლებული, გამოცდილი, დინჯი და მომავლის დიდი რწმენით. შეხვედრით ნამდვილად კმაყოფილი დავრჩი. ვესაუბრე კაცს, რომელსაც ნამდვილად სუფთა სული აქვს და ანგელოზი მფარველობს.

**კაცი, რომელმაც საკუთარი დიდი გარჯით მოიწყო ცხოვრება და სხვათა ოჯახური ბედნიერება სწადია.**

ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებო ბერიძეებო და ერზე გულშემატკივარო ამომრჩევლებო, მენდეთ და არ შეცდებით, საქართველოს პარლამენტისაკენ ჭეშმარიტი მამულიშვილი მიაბიჯებს. ღმერთმა დალოცოს და თქვენი თანადგომა უწყალობოს.

**ვაჟა ბერიძე,**
**საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი (31000 კაცი) გვარის — ბერიძეთა საგვარეულო დარბაზის ეთნარქი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი.**
**ტელ. 599 33 53 60**

# აი, რატომ ვერ „დაასრულა“ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“?

**რატომ ვერ „დაასრულა“ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“? – ეს კითხვა არაერთხელ დამდგარა ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა დონეზე, თუმცა ვერც ერთხელ ვერ გაეცა, ან არ გაეცა ამომწურავი პასუხი. მოსაზრებები კი, რა თქმა უნდა, მრავლად იყო ერთი უკიდურესობიდან მეორემდე.**

**საბოლოოდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, მათ შორის იმათაც, ვინც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმისგან რეალურად დაზარალდა, რომ იტყვიან, ხელი ჩაიქნია სამართლიანობის აღდგენაზე, რაც პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო.**

**დგამდა სამართლიანობის აღსადგენად, რომ აშშ-დან 2012 წლის 7 დეკემბერს პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მრისხანე ღია წერილი მიიღო. წერილს ხელს აწერდნენ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი სენატორები ჯონ მაკკეინი, ჯინ შაჰინი, ჯეიმს რიში, ჯოზეფ ლიბერმანი და ლინდსი გრეჰემი.**

## ამერიკელი სენატორები ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ

წერილში, სადაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა საქართველოს ისტორიაში „კრიტიკულ მომენტად“ იყო შეფასებული, სენატორები „ღრმა შეშფოთებას“ გამოთქვამდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა დაკავებების და მათ მიმართ დაწყებული გამოძიებების გამო და „ქართულ ოცნებას“ კატეგორიულად მოუწოდებდნენ, ისე მოქცეულიყო, რომ დასავლეთში აღქმაც კი არ გაჩენილიყო „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მიმართ შერჩევითი სამართლის. აღნიშნული წერილი, რომ იტყვიან, აისბერგის ხილული ნაწილი იყო მხოლოდ. „ქართული ოცნების“ ხომალდს კი არანაირად არ სურდა ამ „აისბერგთან“ შეჯახება და გარდუვალი ჩაძირვა. ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში გაიხსენა ხელისუფლებაში ყოფნის პირველ პერიოდში თუ რა დიდ ძალისხმევად დაუჯდა დასავლელების დარწმუნება, რომ „ქართული ოცნება“ არ გადაუხვევდა პროდასავლურ კურსს.

სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ მზარდი ზემოქმედება „ქართულ ოცნებაზე“ და მის ლიდერზე პერმანენტულად მიმდინარეობდა წლების მანძილზე. აშშ-ს და ევროპის პოლიტ-ისტებლიშმენტი და გავლენიანი წრეები იმდენად კარგად იყვნენ შეთამაშებული სააკაშვილთან და „ნაცმოძრაობასთან“ პრინციპით **„ის არამზადაა, მაგრამ ჩვენიანი არამზადა,“** რომ ყველანაირად ცდილობდნენ ამ პოლიტიკური ძალისათვის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას. ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ ამას წერტილი დაუსვა. ქართული საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ნების და არჩევანის წინააღმდეგ დასავლეთი, ბუნებრივია, ვერ წავიდოდა. ამიტომაც მათი პროგრამა მაქსიმუმი გახდა „ნაცმოძრაობის,“ როგორც საქართველოში მათი მთავარი საყრდენი პოლიტიკური ძალის შენარჩუნება მთავარ ოპოზიციურ ძალად და „ქართული ოცნების“ მთავარ საპირწონედ. ეს მიზანი ფაქტობრივად მიღწეული იქნა. სამართლიანობის აღდგენა, ისე როგორც ეს ქართველ საზოგადოებას წარმოედგინა, დიდი ხნით თაროზე შემოიდო. „ქართული ოცნება“ დაყაბულდა ამ სცენარს. უფრო მეტიც, მან ეს სცენარი სათავისოდაც კარგად გამოიყენა. ყველანაირად დისკრედიტირებული „ნაცმოძრაობის,“ როგორც მთავარი ოპონენტი ძალის ფონზე და „ოცნება“ 8 წლის მანძილზე იოლად იგებდა ყველა დონის არჩევნებს.

მეტიც, „ნაცმოძრაობისთვის“ სამართლიანი ვერდიქტის გამოტანას, ოპონენტები თავად „ქართული ოცნების“ მაშინდელ კოალიციაში გამოუჩნდნენ. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ სერიოზული ოპონირება გაუწიეს ამ ინიციატივას. მეტიც, პარლამენტის მაშინდელი სპიკერი რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი აცხადებდა, „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანა არისო.

**პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მათ შორის საქართველოში გავლენებისათვის დასავლეთსა და რუსეთს შორის მძაფრი გეოპოლიტიკური კონკურენცია მიმდინარეობს. ამ კონკურენციაში დასავლეთისათვის საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში საიმედო საყრდენების არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია. სწორედ ეს გახლავთ ის ერთ-ერთი ფაქტორი, თუ რატომ ვერ მოხერხდა „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ველიდან განდევნა და რაზედაც საჯაროდ საუბარი და დეტალებში შესვლა გასაგები მიზეზების გამო არ სურთ „ქართული ოცნების“ ლიდერებს.**

**ზაალ ანჯაფარიძე**

## სომხურ პრობლემას ამოფარებული ზატულინის მუქარა

**„რუსეთმა უნდა დაამტკიცოს, რომ წამყვანი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში“,** – ამის შესახებ НСН-თან ინტერვიუში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსტის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე ზატულინმა განაცხადა.

ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ **„არ იცის, ზუსტად რა ფორმით უნდა მოხდეს ეს“: „სომხეთის სამხედრო პოტენციალის დემონსტრაციული ზრდის ფორმით. ОДКБ-სადმი მიმართვის ფორმით სომხური – არა ყარაბაღული, არამედ სომხური ტერიტორიის სადესანტო ოპერაციის გზით დასაცავად საჭირო ზომების მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით. საჰაერო ბლოკადის გარღვევის გზით. თუ საჭირო გახდება, გასაგებად უნდა ავუხსნათ საქართველოს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მან მშვიდად უნდა აღიქვას, რომ მისი საჰაერო სივრცის გავლით სომხეთში გაიგზავნება საჭირო ძალები და საშუალებები. ეს იძულებითი გადაწყვეტილებაა, რადგან საუბარია კავკასიაში ბოევიკების გავრცელებაზე, რაც როგორც რუსეთს, ისე საქართველოს და ყველა დანარჩენს დააზარალებს. იქმნება საფრთხე სომხური მოსახლეობის დიდი მასისთვის, რომელსაც ისტორიულად ახსოვს გენოციდი ამ რაიონში. ჩვენ ზომები უნდა მივიღოთ“.** დეპუტატის აზრით, **„დროა, რუსეთის ხელისუფლება ჩამოყალიბდეს საკუთარ პოზიციაზე ამ კონფლიქტში“.**

**„რუსეთში უნდა გაითავისონ, რომ საუბარია არა მარტო მთიან ყარაბაღში სომხებთან ბრძოლაზე. საუბარია ამიერკავკასიაში ახალი სამყაროს ჩამოყალიბებაზე – სამყაროსი, რომელშიც ყველას ბედს თურქეთი წყვეტს, რომელშიც ჩვენ მიგვითითებენ, რა არის ცუდი, რა – კარგი“,** – დასძინა მან.

# სიღარიბე თუ... „ტვინების გამორეცხვა“?!

**ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ტელევიზია დღეს ყველაზე ძლიერი საშუალებაა ინფორმაციის გავრცელების და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში. ამიტომ მისი დანიშნულება არადემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური მოსაზრებებით მნიშვნელოვნად შეზღუდულია.**

**როგორც ჩვენი ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, დემოკრატიულ ტალღაზე შექმნილი ათეულობით ტელევიზია არც ისე ძლიერი იდეოლოგიური იარაღი ყოფილა, როგორც წინათ გვეგონა, ეს სისუსტე მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, ძირითადად მათი კერძო ხასიათით. საქართველოში თუ ფული გაქვს, შეგიძლია, უპრობლემოდ გახსნა ტელევიზია, „ჯანმრთელობის ცნობასაც“ არ მოგთხოვენ, და რაც გინდა, ის აჩვენე და ილაპარაკე, არავინ გამკითხავი არ არის.**

ასეთი ტელევიზიების სარედაქციო პროგრამები პრაქტიკულად მათი მფლობელების პოლიტიკურ გემოვნებაზეა დამოკიდებული, ხოლო ამ თემით იმდენად ბევრი ტელევიზიაა დაკავებული, რომ მათი გადაცემები არავითარ უტყუარობას აღარ იწვევს, და საზოგადოებაც იმათ მიმართ გულგრილია. ასეთი ტელევიზიებით გავრცელებული ზოგჯერ პრიმიტიულ-პროვინციული, პოლიტიკურად ცუდად შეფუთული „სიმართლე“ და საღ აზრს მოკლებული პროპაგანდა (მაგ. ბიძინამ „ხე საკუთარ ეზოში გადარგო“), როგორც დრომ გვაჩვენა, ფუჭი გამოდგა და არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

ამის ნათელი მაგალითია საქართველოში სატელევიზიო ბაზარზე შექმნილი ის არაჯანსაღი ვითარება, როდესაც პოლიტიკურად ანგაჟირებული ტელევიზიები სხვადასხვა მტრულ ბანაკებად ჩამოყალიბდნენ, რაც გასაკვირი შეიძლება არც იყოს, მაგრამ საზოგადოების პოლარიზაციას და გახლეჩას ნამდვილად ხელს უწყობს. ხშირად ეს ქმნის იმ სირთულეს, როცა სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება ქვეყანაში, ამ შემთხვევაში, მაღალ პროფესიონალიზმს საჭიროებს, და ეს ყველასთვის ხელმისაწდომი არ არის. ამიტომ, როცა ერთი ოპოზიციური ტელეარხი საინფორმაციო ცნობებში პატრონის დაკვეთით, გარკვეული მიზნით, რაღაც მოგონილ ფაქტს აშუქებს და ამავე დროს იქვე სხვა არხი ამტკიცებს, რომ ეს „ფეიკ ნიუსია,“ რა თქმა უნდა, ასეთი გადაცემა ხშირად თავის მიზანს ვერ აღწევს და მაყურებელი მასზე ნეგატიურიად რეაგირებს. ნაწილობრივ ამის შედეგია, როცა რიგი რესპონდენტები (ძირითადად მმართველი პარტიის მხრიდან) ბოიკოტს უცხადებენ ასეთ ტელევიზიებს, არ მონაწილეობენ დისკუსიებში და სხვა ღონისძიებებში, რის გამოც ტელეწამყვანი იძულებულია, მხოლოდ თანამოაზრეებს ან თავის თავს ესაუბროს და „ეკამათოს“, რაც მაყურებელისათვის ნამეტნავად მოსაწყენია.

**უფრო მეტიც, ბოლო დროს გავრცელებული თემატური ხასიათის პროპაგანდის მყვირალა ინგა გრიგოლიას სატელევიზიო გადაცემები სიღარიბეზე, უმუშევრობასა და შიმშილზე, გაჯერებული პოლიტიკური ნიშნით, რასაც არავითარი საერთო არა აქვს საინფორმაციო რეპორტაჟებთან, როცა თითქმის ყველა გადაცემა იწყება „საგანგაშო“ ფრაზით: „ქვეყანა სიღარიბეშია ჩაფლული! ხალხს შია, სწყურია, ბავშვები შიმშილით იხოცებიან!“ შემდეგ იწყება ღარიბული ცხოვრების ამსახველი კადრები: ცარიელი მაცივარი, გაჭირვებული ადამიანი და ტელეწამყვანი ისეთ მძიმე სურათს ხატავს, რომ მსმენელი ფიქრობს: ეს რეპორტაჟი აფრიკის რომელიღაც მართლაც მშიერი, ღატაკი სახელმწიფოდან ხომ არ გადმოიცემა?! სხვანაირად ვერ იფიქრებს, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ჩვენთან ბავშვები შიმშილით ნამდვილად არ იხოცებიან. შემდეგ წამყვანი ყველა ხერხით ცდილობს, ქვეყანაში არსებული ეს სიღარიბე ივანიშვილის მთავრობას დააბრალოს!!!**

**ეს უკვე ჟურნალისტური უზნეობის მწვერვალია!**

**ამავე დროს პარადოქსია, რომ მთავრობა სოციალურ პრობლემებს თვითონ აღიარებს, არ მალავს და აცხადებს, სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში 20%-ზე მეტია, და ეს ჟურნალისტის აღმოჩენა არ არის; ხოლო იმას, ვისაც ასეთი ცუდი ცხოვრება აქვს და მართლა შიმშილობს, ამის შეხსენება ყოველდღიურად ნამდვილად არ სჭირდება. ასეთი სახის ხმამაღალი, მძაფრსიუჟეტიანი გადაცემები რატომღაც იდეოლოგიური პროპაგანდის „მწვერვალი“ ჰგონიათ, მაგრამ არსებითად ეს ძველმოდური, უგემოვნო, ერთფეროვანი გადაცემების სტილია, როდესაც ქვეყანაში, მხოლოდ ერთი ტელეარხი მაუწყებლობდა და მსმენელს განსხვავებულ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდა. მაგრამ ახლა, როცა ხალხი ალტერნატიულ არხებსაც უყურებს და უსმენს, სხვა განსხვავებულ ინფორმაციასაც ღებულობს და შესაბამისად დასკვნებსაც აკეთებს.**

საგულისყუროა, რომ ტელეჟურნალისტის რეპორტაჟი სიღარიბის თემაზე კულმინაციას მაშინ აღწევს, როცა ქვეყანაში ამ პრობლემის გადაწყვეტის რეცეპტს სთავაზობს მაყურებელს, თან ამშვიდებს და შემპარავად ეუბნება: „თუ მიშას ან მის თანამოაზრეებს დაუჭერთ მხარს, ყველაფერი ეს მოგვარდება და ქვეყანაში სიღარიბე აღარ იქნება“.

ანალოგიურად მეორე, ნიკა გვარამიას ტელევიზია გამუდმებით, წლების განმავლობაში თავის მსმენელებს არწმუნებს, რომ, თუ ქვეყანაში რაიმე ცუდი ხდება, ეს ივანიშვილის და მისი მთავრობის ბრალია და „პატიოსნად“ რვა წელი ელოდება მიშას ჩამოსვლას და ერთხელ არ იტყვის, რომ, რასაც ახლა ლაპარაკობს და თან არაკაცურად ბილწსიტყვაობს ღია ეთერში, „მიშას დროს“ ამას ნამდვილად ვერ გაბედავდა.

გაკვირვებას იწვევს ოპოზიციის მიერ ქვეყანაში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად სააკაშვილის პერსონის განმეორებით შეთავაზება, თანაც ეს სუპერმატყუარა კაცი ამისთვის მხოლოდ ორ წელს ითხოვს, საგულისხმოა, საიდან აიღო ეს ორი წელი, ამდაგვარი სასწაულები ნამდვილად არ ხდება (მოსე 40 წელი ატარებდა ხალხს უდაბნოში ახალ ცხოვრებაში შესასვლელად), ალბათ, მიშას აზრით, თავისი პრეზიდენტობის ცხრა წელს ორი წელი დააკლდა, რომ ქვეყანა „მაძღარი“ დაეტოვებინა და ისე წასულიყო ქვეყნიდან.

ის ქალბატონები და ვაუბატონები და მათი პატრონები, რომლებიც პოლიტიკურ პროპაგანდას ემსახურებიან, მარქსის კლასიკას და ლენინის „აპრილის თეზისებს“, ეტყობა, არ იცნობენ, თუ როგორ ხდება ხალხის დარაზმვა რევოლუციური იდეის გარშემო, რისთვისაც რევოლუციის ბელადი თავის „მიშას და გუგავას“ კი არ სთავაზობს ხალხს (ასეთები ბევრი ჰყავდა), არამედ გლეხებს უთხრა, მიწას უფასოდ გადმოგცემთ (გადაირივნენ გლეხები!), მუშებს – ფაბრიკა-ქარხნები თქვენი იქნებაო (გადაირიენ მუშები!)... ხალხს უთხრა, მდიდრები აღარ იქნებიან, ყველაფერს თქვენ დაგირიგებთ (მთლად გადაირია ხალხი!) და ა.შ. მაგრამ არც ეს იკმარა და პროლეტარიატს ხიშტი მისცა ხელში და ზამთრის სასახლეს შეუტია. შემდეგ „ავრორას“ გაასროლინა და ამის შესახებ ხალხს ამცნო, მერე კი, რაც მისცა პროლეტარიატს, ეს ყველამ კარგად ვიცით.

საყურადღებოა, ილიჩის დროს ტელევიზია რომ ყოფილიყო, პროლეტარიატის ბელადი როგორ მოიქცეოდა?! საბედნიეროდ, ის დრო ძალიან შორს არის და ვერასდროს ვერ დაბრუნდება, უბრალოდ, ეს იმათ გასაგონ, ვისაც ასეთი წვეტიანი აზრები ებადებათ.

გარკვეულ ყურადღებას იწვევს დღევანდელი გადასახედიდან, რამდენად ეფექტურია ოპოზიციური პარტიული ტელევიზიები თავიანთი ხშირად ანტისამთავრობო, ანტისახალხო პროპაგანდით და სხვა მიკერძოებული გადაცემებით, რა გავლენას ახდენენ და რა პროცენტული წილი უკავიათ ელექტორატის მობილიზაციაში არჩევნების დროს, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ალტერნატიული აზრის ტელევიზიებიც მაუწყებლობენ?!

**იძნებ მათი ასეთი, ზოგჯერ მდარე ხასიათის, ყავლგასული აგიტაცია-პროპაგანდა, რაც უფრო ძველი დროის გამოძახილია, არავითარ ფასეულს არ წარმოადგენს და მხოლოდ ხალხს უფუჭებს ხასიათს და ადამიანების ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს. ეს ხომ ფულისა და დროის უმიზნოდ ხარჯვაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ საძმით დილეტანტები და შემთხვევითი პიროვნებები არიან დაკავებულნი, ხოლო ადამიანების ის სეგმენტი, რომელიც ამ სახის პროპაგანდის – „ტვინების გამორეცხვის“ მსხვერპლი ხდება, ამ დროს, შეიძლება რომ ძალიან უმნიშვნელო იყოს.**

საგულისხმოა, რომ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი მოსახლეობის მინიმუმ 20-25% არსებული მთავრობის უკმაყოფილოა და ყოველგვარი პროპაგანდის გარეშეც ხშირად ხმას აძლევს მთავრობისა და მმართველი პარტიის წინააღმდეგ, რაც ნამდვილად გასაკვირი არ არის, და ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია.

რაც შეეხება სიღარიბის თემას, რასაც ასე ხშირად იყენებს ოპოზიცია მთავრობის დისკრედიტაციის მიზნით, ჟურნალ Global Finance-ს მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის საქართველოს, 189 ქვეყნიდან 108 ადგილი უკავია. სიღარიბე ამა თუ იმ დონით ყველა ქვეყანაში გვხვდება. საუკუნეების განმავლობაში გამეფებული სიღარიბის აღმოფხვრა ურთულესი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას და მათ მთავრობებს მუდმივად ჰქონდათ და აქვთ ამის სურვილი. ხშირად სიღარიბე თაობიდან თაობებს გადაეცემა; სიღარიბე მრავალგანზომილებიანი ფენომენია; არსებობს „მენტალური სიღარიბე“; გავრცელებული აზრია, რომ სიღარიბე არსებული წყობის და მთავრობის ბრალია, მაგრამ სიღარიბეს ძირითადად მაინც უკავშირებენ ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად სიღარიბე ყოველთვის როდი მცირდება (პოლონეთის მაგალითი).

საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობა ქვეყანაში 20-22%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს მდგომარეობა არ უნდა იწვევდეს საყოველთაო გაკვირვებას, რამდენადაც ცნობილია, რომ საქართველო ისტორიულად მცირემიწიანი, ღარიბი ქვეყანაა. ამის დამადასტურებლად არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული სტატისტიკური მონაცემები. საკმარისია გადავხედოთ ბოლო საუკუნის ქართული მწერლების ნაწარმოებებს, სადაც ყველგან ჩანს უკიდურესი სიდუხჭირე, გაჭირვება, სასოწარკვეთილება... გავიხსენოთ „ტრაგედია უგმიროთ“, „გოგია უიშვილი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“ და ა.შ. მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ვერც დრომ, ვერც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სახელმწიფო წყობის ცვლილებებმა (სოციალიზმი, ამჯერად კაპიტალიზმი), რომ არაფერი ვთქვათ, სხვადასხვა მთავრობის ცვლილებებმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინა ძირფესვიანი გარდატეხა ქვეყანაში არსებული სიღარიბის დასაძლევად. მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ქვეყანა ამჟამად ბევრ სხვა ქვეყანასთან შედარებით ნამდვილად არ ტოვებს განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნის შთაბეჭდილებას!

**დაბოლოს, ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთადერთი სწორი გზაა დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, ძვეყნის სწორი საგარეო კურსი, რომლის ვექტორი დასავლეთის დემოკრატიებისკენ არის მიმართული, რასაც ამჟამად ძვეყნის მთავრობა და მმართველი პარტია გეგმაზომიერად, წარმატებით ახორციელებენ.**

ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლაში განუზომელია მასმედიის, განსაკუთრებით ჯანსაღი ტელევიზიების როლი და დანიშნულება.

ძვირფასო მკითხველებო, არ უყუროთ ჩასაფრებულ, ყალბ, „ტვინების გამორეცხ“ ტელევიზიებს და საგრძნობლად გაგიიოლდებათ ცხოვრება. ეს ხანმოკლე, უბარაქო წუთისოფელი ე. წ. მიშავიზიებს არ უნდა მოვაწამლინოთ!

**გონდო ქოგულია,**
**პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**
**15.10.20.**

# ობლის ცრემლივით ცამდე მართალი პოეტის დღე

არამხუტუს ქედლი ჩხოროწყუში

როზა ბერიკაშვილი

**ერთი კვირით ადრე...**

**დაბინდდა. ჩხოროწყუს ცენტრში ვართ, არამხუტუს ქანდაკებასთან. არამხუტუ მითიური ვაუკაცია, ურჩხულის მმუსვრელი, ბოროტების დამმარცხებელი. ადგილობრივები შესანიშნავი მოქანდაკის კოტე უვანიას ამ ქმნილებას წმინდა გიორგისთან აიგივებენ. უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კოლხეთის მადლიან მიწაზე ადამიანებთან ერთად მითიური არსებებიც ცხოვრობდნენ, ერთი ურჩხული დაჰპატრონებია აქაურობას, წყაროთა სიუხვით განთქმულ კუთხეს და ყოველდღიურად მსხვეროპლად ერთ ქალწულს ითხოვდა. ბევრი უბადლო ვაუკაცი შეაკვდა ურჩხულს, სანამ აღმოსავლეთიდან ცა არ გაიხსნა და გმირი არამხუტუ არ გამოჩნდა ცეცხლოვან რაშზე ამხედრებული. სწორედ მან შეძლო ურჩხულის დამარცხება და ხალხისთვის წყლის დაბრუნება. „ჩხორო“ კოლხურ-მეგრულად ცხრას ნიშნავს, საკრალურ, ღვთიურ რიცხვს, „წყუ“ კი წყაროა. სწორედ ცხრაწყაროს ულამაზეს სოფელ მუხურში მივემგზავრებით ახლა, ჩვენი ნაადრევად წასული ძმის, უშესანიშნავესი, თვითმყოფადი და ბევრი პოეტისგან განსხვავებული სტილისა და სულის ადამიანის ლაშა გახარიას დღეობადაქცეულ სახალხო დღესასწაულ „ლაშაობაზე“.**

მუხური ძველკოლხურად სახლის სახურავის საყრდენი, იგივე ფუძეა. რაც უფრო ძლიერია მუხური, მით მტკიცეა სახურავი. სწორედ ამ ფუძეძლიერ სოფელში დაიბადა ჩვენი ლაშა გახარია. სწორედ ამ სოფელში უკვე მერამდენედ გვეპატიჟებიან ლაშაობაზე მუხურელები, ლაშას ოჯახის წევრები, მისი, უკვე შეჭაღარავებული მეგობრები. აქ ლაშას ოდაბადია, რომლის მადლსაც ვერასოდეს გადაიხდიდა, მაგრამ თავისი ცხოვრებით ის შეძლო, რომ ქართული მადლიანი ლექსის დამფასებელ-თაყვანისმცემლებს სამუდამოდ დაამახსოვრა ეს „ერთი კალათა სოფელი“ და ოქტომბრის თვეში ერთ-ერთ ლამაზ დღესასწაულად აქცია თავისი დაბადების დღე.

საშინელმა ვირუსმა გატეხა წელში მსოფლიო, დააჩოქა, ვითომდა უძლეველი სახელმწიფოები. როგორც შეგვეძლო, გავუძელით ერთმა მუჭა ქართველებმა, სხვაზე ძლიერად, სხვაზე თავდადებითა და ერთიანობით, მაგრამ მაინც მძვინვარებს ვერაგი სენი. ამიტომაც წლევანდელი „ლაშაობა“ სხვა წლებთან შედარებით მოკრძალებული იქნება – მხოლოდ ოჯახის წევრები, რამდენიმე უახლოესი მეგობარი და... ლაშას თანასოფლელები. გადაიდო სახალხო დღესასწაული „ჩხოროწყუობა“, გადაიდო მრავალი ღონისძიება, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობამ მორიდებითა და მობოდიშებით შემოგვითვალა – „ლაშაობას“ მაინც გავმართავთ, ოღონდ შეზღუდულად და დაკანონებული წესების გათვალისწინებითო.

ერთი მანქანით ლაშას მეუღლე, მისი ლექსისა და შემოქმედების პოპულარიზატორი, მსოფლიო რანგის ტანმოვარჯიშეთა აღმზრდელი, ქართული სპორტის რაინდის ტიტულის მფლობელი, ქალბატონი **როზა ბერიკაშვილი**, ლაშას სიყრმის მეგობარი, ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, ლიტერატორი, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა გვარისა და საქმის ღირსეული გამგრძელებელი **ივანე ჯაფარიძე** და თქვენი მონა-მორჩილი მივუყვებით გზას. მეორე მანქანით ლაშას ქალიშვილი **ლელე (ელენე) გახარია** თავის ქალ-ვაჟთან ერთად და ჟურნალისტი და პუბლიცისტი, მწერალთა და ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გამომცემელ-რედაქტორი **ზაურ ნაჭყებია** მოგვყვებიან.

ის ღამე ლაშას ოდაბადეში უნდა გავათენოთ, გახარიების ძირძველ ეზო-კარში, სადაც უკვე მერამდენე წელია, გვმასპინძლობს პოეტის ძმა ელგუჯა გახარია და ლაშას სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელი, ელგუჯას კდემამოსილი მეუღლე, ქალბატონი ლალი.

„ლაშაობის“ სტუმრები (მარცხნიდან მეორე): ზაურ ნაჭყებია, გიორგი გოგოლაშვილი და ივანე ჯაფარიძე მასპინძლებთან ერთად

გეგმები იცვლება. ის იყო ლესიჭინეს მივუახლოვდით თუ არა და ხელის გაწვდენაზეა მთა-ტყეში მიყუჟული მუხური, რომ ბატონი ზაური თავისი სოფლის, უმშვენიერესი ჭოღას გადასახვევთან გვახვედრებს წინასწარ გაფრთხილებულ ძმასა და მიძაშვილებს და თავისი სახლისკენ გვეპატიჟება – დამდეთ პატივი და ღამე აქ გავათითო, ლაშაობაზე უთენია ერთად მივალთო. ბოლომდე ვერ აისრულა ჩანაფიქრი, ისღა შეძლო მხოლოდ ბატონი გიორგი და ივანე მოგვტაცა და შეთხელებული ამალით გავაგრძელეთ გზა მუხურისკენ.

არამხუტუს ქანდაკებასთან ახლა მე დავემშვიდობე ლაშას ოჯახს, იგივე პირობით, რომ უთენია იქ გავჩნდებოდი, სადაც ტრადიციულად ლაშაობა ტარდება და ჩემს დედულეთში სოფელ სარაქონში გავაგრძელე გზა ბიძაშვილებთან ერთად. გულახდილად რომ გითხრათ, მეც იგივე ჩანაფიქრი მქონდა, რაც ზაურს, მაგრამ... დასწრებაზეა ყველაფერი.

* * *

**ოთხდღიანი საშინელი ქარიშხალი სწორედ იმ დილით ჩაცხრა და ბუამნათობმაც ისე გამოანათა, ზაფხულს რომ შეშურდებოდა. წყნარი, მზიანი დილით შეეგება სტუმრებს გახარიების ოდაბადე, მუშტისხელა ბროწეულების ტყე წითლად ღაუღაუებს, ჩიტების ჭიკჭიკს ხობიწყლის მშობლიური, დამამშვიდებელი ღუღუნი ერთვის და... ჰოი, საოცრებავ, შემოდგომის შუაწელზე აყვავებულა ლაშას ეზოში, ბროწეულების კორომში მარტომდგარი ვაშლის ხე, თეთრი ყვავილებით გადაპენტილი თეთრჩოხიან სასიძოსა ჰგავს პატარძლის სახლთან გაყურსულს. პირველად ვხედავთო, ჩვენთან ერთად იკვირვებენ თმაშეევერცხლილი მუხურელები, ერთხელ უკვე მოილია მოსავალი და მეორედ გაყვავილდაო.**

– ხელცარიელნი არც ახლა ჩავსულვართ. მიუხედავად იმისა, რომ ლაშა გახარია თავისივე სიტყვებით „შეუცნობელი პოეტი“ გახლდათ, რომელიც თავისივე „ჯიბის ლექსებს ბუზს არ აკარებდა“ და „გამომცემლობებს არ უმტვრევდა კარებს“, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უამრავი შესანიშნავი ლექსის ავტორმა მხოლოდ ერთი საკუთარი წიგნი იხილა, ისიც მეგობრების ძალისძალაობით გამოცემული, სიკვდილის შემდგომ კი თანამედროვეობის ერთ-ერთ უპოპულარეს პოეტად იქცა და სულ მოკლე ხანში რამდენიმე პოეტური კრებულიც გამოვიდა, ყველა ბეტსელერად ქცეული. ახლაც ზაურ ნაჭყებიას რედაქტორობით და უშესანიშნავესი ახალგაზრდა ქალბატონის, ლაშას პოეზიის უსაზღვრო ტრფიალის, მუხურელი **ელენე ახალაიას** იდეითა და ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა პოეტის ერთტომეული **„პოეტი მაინც... ერთი ლექსია“!**

ზაურ ნაჭყებიასთვის ეს პირველი შეხება არ ყოფილა პოეტის შემოქმედებასთან, ჯერ კიდევ ლაშას სიცოცხლეშივე 2002 წელს ზაურმა შესანიშნავი პოეტისა და ლაშას უახლოესი მეგობრის **ლია ნაროუშვილის** რედაქტორობით გამოსცა მომცრო კრებული **„99 და... ერთი“**, ლაშას გარდაცვალების შემდეგ ისევ ლია ნაროუშვილის რედაქტორობით გამოსცემს კრებულს **„წაშლილი ღამე“**. ახლა კი ერთტომეულს შეადგენს შესანიშნავი სეფე წინასიტყვაობით, „ობლის ცრემლივით“ მართალი პოეტის ლექსების ვრცელი მიმოხილვითა და მისი შემოქმედების ღრმა ცოდნით. თავისსავე სიტყვას მოაყოლებს ლაშას თანაკურსელისა და სიყრმის მეგობრის, ცნობილი ბიზანტიოლოგის, პროფესორ ვალერი ასათიანის წინასიტყვაობითაც, რომელიც ლაშას პირველი პოეტური კრებულის **„მუზის პაუზის“** წანამძღვრებაა... და ამით ნაწილობრივ მაინც

პრემიერ-მინისტრი მშობლიურ მუხურში, პოეტის სახლ-მუზეუმის ეზოში მაჟორიტარობის კანდიდატის წარდგენაზე

შეივსება ლაშას შემოქმედების თავისთავადობა, რომელიც ჯერ კიდევ ელის სრულ შესწავლასა და კვლევას, როგორც სტილის, ასევე მსოფლმხედველობის მხრივ. ქალბატონ ელენე ახალაიასა და როზა ბერიკაშვილის სურვილით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, ამ შესანიშნავი რაიონის ყველა სკოლას საჩუქრად გადაეცა ახალგამოცემული წიგნი, რომლის წარდგინებაც სწორედ „ლაშაობაზე“ მოეწყო.

სიხარულს ვერ მალავს ახალგაზრდა პედაგორი **ირმა თოდუა**, რომელიც ჩვენი მუდმივი მასპინძელია, ამავე დროს მუხურის ლაშა გახარიას სახელობის, პოეტის მშობლიური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი და ყოველი ლაშაობის წამყვან-სცენარისტი. ამ ახალგაზრდა გოგონამ იმდენი შეძლო, რომ სკოლაში პოეტის სახელობის გაკვეთილებიც დააარსა და ისეთი პოპულარობა გაუწია ლაშას შემოქმედებას, რომ ყოველ ლაშაობაზე პატარა დეკლამატორები საოცარი სიყვარულითა და აღტაცებით გვაოცებენ ლაშას პოეზიის მარგალიტებით.

მართალია, შეკვეცილი ფორმატით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მაგრამ კიდევ ერთხელ დავტკბით რაიონის ნორჩი მოცეკვავეების ცეცხლოვანი როკვით, ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებით, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება და ყოველი „ლაშაობაც“ მათი შემოქმედების ზეიმად იქცევა ხოლმე. რაიონის უხუცესი პოეტი, ლაშა გახარიას უფროსი მეგობარი, ბატონი **ედემ კვირტია** ჩვეული ენერგიითა და გამომსახველობით კითხულობს ლაშას ლექსებს მეგრულ და ქართულ ენებზე. სოფელ კირცხიდან იგი ყოველ წელს სტუმრობს მუხურს და თავისი შემოქმედებითაც გვატკბობს.

პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრეს ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა, ივანე ჯაფარიძემ, პოეტებმა ლია ნაროუშვილმა და ლაშა გვასალიამ, კოტე ნაჭყებიამ და ნუგზარ ჟვანიამ, რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. დამსწრეებმა გულითადად მიულოცეს პოეტის მეუღლეს, ქალბატონ როზას დიდი ჯილდო – ქართული სპორტის რაინდის წოდება.

## ...ერთი კვირის შემდეგ

**„მშობლიურ მუხურში მომავალზე საუბარი ჩემთვის დიდ პატივთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაცაა“** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** ჩხოროწყუში აგვისტოს, მარტვილის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის **ალექსანდრე მოწერელიას** წარდგენაზე. ისიც აღნიშნა, რომ სიმბოლურად ბატონ ალექსანდრეს წარდგინება ხდება სამეგრელოს ამ ულამაზეს სოფელში, მუხურის მკვიდრის შესანიშნავი პოეტის ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმის ეზოში.

ამ პატარა ჩანახატის, რომელიც ჩვენი შესანიშნავი პოეტის ხსოვნას მივუძღვენი, გაპოლიტიკურობა ნამდვილად არცა მსურს და არც ეგების, მხოლოდ ერთს ვიტყვი, ალექსანდრე მოწერელია სწორედ „ლაშაობის“ დღესასწაულზე გავიცანი, იგი მაშინ მხარის გუბერნატორი გახლდათ. შარშან ამ ენერგიულ ახალგაზრდა კაცს მუხურელები და ჩხოროწყუელები სიყვარულით ხვდებოდნენ და საოცარია, რომ დახმარებასაც არ სთხოვდნენ. როდესაც ადამიანს დახმარებას არ სთხოვ და სიყვარულით ხვდები, ეს იმას ნიშნავს, რომ მან შენი გაჭირვებაცა და სიხარულიც კარგად უწყის, აქაურებმა კი იციან, ის სიტყვის კაცია, შეუსრულებელსა და ვერშესაძლებელს არც შეჰპირდება.

ეს წარდგინება ტელევიზიით ვნახე. ისევ ყვაოდა ბროწეულებში მოქცეული ვაშლის ხე, ისევ ჩამესმოდა მოხუცი კოლხის ნათქვამი – მუხური სახლის სახურავის საყრდენია... რა ვიცი, როგორ წავა ცხოვრება მსოფლიო პანდემიის პირობებში, მაგრამ ის კი ვიცი, ყოველგვარ პანდემიასა და ბორტებას სიყვარული, პოეზია, სულიერება და შესრულებული პირობა ამარცხებს. არამხუტუმაც ხომ სძლია ურჩხულს...

**მამუკა ვაშაკიძე,**
**თბილისი-მუხური-თბილისი.**

◎ პოეტური გადაძახილი

# „გადაფერმკრთალდა ბაღ-ტაძართა ოქრო რჩეული...“

**სტატისტიკოსებმა დათვალეს: ნაცნობის ნაცნობის ნაცნობობით – და ასე მეექვსე კაცამდე – ამჟამად დედამიწაზე ვინც კი ცხოვრობს, თურმე... ყველას ვიცნობთ! ჰოდა, გამოდის, რომ ლეონიდ არანზონს მეც ვიცნობდი, იქნება არც თუ ახლოს, მაგრამ მაინც...**



რამდენიმე ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პატივი მქონდა ცოტა ხნით საქართველოში სტუმრად ჩამოსული, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მაშინდელი ლენინგრადის, ასე ვთქვათ, „არაოფიციალური კულტურის“ (რომელსაც შინაურულად „პეტერბურგელ ანდერგრაუნდს“ უწოდებდნენ) ერთ-ერთ გამორჩეული წარმომადგენლისთვის **ალექსანდრე ალტშულერისთვის** მემასპინძლა.

იგი ჩემი მეგობრის, თეატრალური რეჟისორის, ხელოვნებათმცოდნისა და მთარგმნელის **თენგიზ კვაჭაძის** ახლობელი გახლდათ. მან, პირველ ყოვლისა, გამორჩეული, მეტადრე პეტერბურგელთათვის დამახასიათებელი ინტელიგენტურობით და კიდევ ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ერთი მეტად საგულისხმო შენიშვნით დამამახსოვრა თავი. თავდაპირველად მთაწმინდის პლატოდან თბილისის პანორამით, შემდეგ მისი შემოგარენის – წყნეთის, კოჯრის, წავკისის, ტაბახმელის მშვენიერი ბუნებით მოხიბლულმა პიტერელმა სტუმარმა, მერე დედაქალაქის კალაუბანში რომ გავისეირნეთ და ერთმანეთის ლამის გვერდიგვერდ სიონის ტაძარი, სინაგოგა, მეჩეთი, მტკვრის გაღმა ავლაბარში კი გრიგორიანული ეკლესია რომ იხილა, ერთგვარად აღშფოთებანარევი აღტაცებით წამოიძახა:

– ყოველივე ამის საკუთარი თვალით მნახველი ქართველოფობები კიდევ როგორ ბედავენ, თქვენ სხვათა მოძულე ერი, „მცირე ხალხთა“ მჩაგვრელი იმპერია გიწოდონ?! სამარცხვინოა, სამარცხვინო!..

სწორედ ალექსანდრე ალტშულერმა, ჯერ კიდევ მათი მეგობრობის ლენინგრადულ ხანაში, 70-იან წლებში, თენგიზ კვაჭაძე აზიარა შესანიშნავი პოეტის ლეონიდ არანზონის შემოქმედებას, რომლის ტრაგიკული დაღუპვიდან წლეულს ოქტომბერში 50 წელი შესრულდა. ამ უნიკალური პოეტური, უაღრესად თვითმყოფადი, ასე ვთქვათ, „სარკისმიღმული“, თუმცა კი სიცოცხლის სიყვარულით გაჯერებული სამყაროს შემქმნელ კაცს ყოფილ საბჭოეთში სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ლექსი გამოუქვეყნეს(?!), თუმცა კი გარდაცვალების შემდეგ მისი „ალტერ ეგოსა“ და ანდერძის აღმსრულებლის ალექსანდრე ალტშულერის მეცადინეობით, ლეონიდ არანზონის შემოქმედება ევროპის არაერთი ქვეყნის მკითხველმა გაიცნო.

ამრიგად, დიდად მისასალმებელია ჟურნალ „ცისკრის“ თაოსნობა, რომელმაც 2020 წლის №4-ში **რუსუდან ჭანტურიშვილის** მიერ ნათარგმნი ლეონიდ არანზონის ლექსები დასტამბა.

ქალბატონი რუსუდანი ბოლოსიტყვაობაში წერს: „ლეონიდ არანზონის პოეზიას მაზიარა ხელოვნებათმცოდნე თენგიზ კვაჭაძემ, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს არანზონის მთელ შემოქმედებას და პოეტის ჯერ კიდევ შემორჩენილ სამეგობრო წრეს...“

გთავაზობთ ლეონიდ არანზონის რამდენიმე ლექსს:

* * *

**პეტერბურგი... ხიდები...**
**ერთმანეთისკენ ილტვიან ღამით ხიდები,**
**გადაფერმკრთალდა ბაღ-ტაძართა ოქრო**
**რჩეული.**
**შენ საწოლისკენ ხეივნებით მოეშურები,**
**ჩემს ცხოვრებაზე სათნო ფარვანად**
**სამარადჟამო გამობნეული.**

* * *

**წყალი ბაღებში, ბაღები – წყალში,**
**თავისთვის მშვიდი, წარმტაცი ხედი**
**და პეტერბურგის ცარიელ კოშკებს**
**ციდან ვარსკვლავი დაჰყურებს ერთი.**
**ლამაზი არის ირგვლივ ყოველი,**
**თუმც ნაღვლიანი ფიქრის მომგვრელი,**
**აქ, კაცის ხელით შექმნილ ბაღებში,**
**დავდივარ უცხო და სევდიანი,**
**როგორც ყმაწვილი, სულ უთვისტომო**
**ანდა პუშკინი წვერებიანი.**

* * *

**ყველაფერი არის სახე: სახეც - სახე,**
**მტვერიც – სახე. სიტყვა? – სიტყვაც**
**არის სახე.**
**სახე უფლის, შემოქმედის**
**მას კი – უფალს, არ აქვს სახე.**

**ოთარ ტურაბელიძე**

# ვანის არქეოლოგიური მუზეუმი ახალ სიცოცხლეს იწყებს

**ევროპის მასშტაბით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მსოფლიო პანდემიის დროს ორი ახალი მუზეუმი გაიხსნა – ეროვნული მუზეუმის ბოლნისის რეგიონული და ვანის არქეოლოგიური მუზეუმები.**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმი – კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი პირველი მუზეუმია ნაქალაქარზე, რომელიც 1985 წელს შეიქმნა არქიტექტორ გიორგი ლეჟავას პროექტით. მუზეუმი, რომელიც თავისი დამაარსებლის სახელს ატარებს, 2020 წლიდან სრულიად განახლებული სახით ახალ სიცოცხლეს იწყებს.

ვანის ნაქალაქარი, რომლის ისტორია თითქმის მთლიანად მოიცავს ძვ.წ. I ათასწლეულს, მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლია. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოყოლებული ძვ.წ. I საუკუნემდე ვანი კოლხეთის – ოქროს საწმისის ქვეყნის – რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.

მუზეუმის კოლექციებში დაცულია ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი და მისი შემოგარენის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მოიცავს პერიოდს ძვ.წ. VIII-დან I საუკუნის ჩათვლით. ვანის ნაქალაქარზე მოპოვებულ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიკური სამყაროს შესწავლისათვის.

ვანის ახალ მუზეუმში მუდმივმოქმედ გამოფენაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინსტალაციების გამოყენებით წარმოდგენილია ვანის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომლებიც „ოქრომრავალი კოლხეთის“ რეალობის ნათელი დასტურია. ამასთანავე, პირველად იქნება ნაჩვენები მათი დამზადების ტექნოლოგიის ამსახველი მასალა და ძველი კოლხების ცოდნა ოქროს მოპოვებისა და დამუშავების შესახებ.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აღმოჩენილ ბრინჯაოს ქანდაკებების ნიმუშებთან ერთად, მუზეუმში პირველად იქნება წარმოდგენილი გადამალული განძის სახით აღმოჩენილი ელინისტური ეპოქის ბრინჯაოს ლამპების უნიკალური ნიმუშები, რომლებიც სატაძრო ინვენტარს წარმოადგენდა და კიდევ ერთხელ ცხადყოფს ძვ. წ. II-I საუკუნეებში ვანის, როგორც სატაძრო ქალაქის მნიშვნელობას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამუზეუმო შენობაში წარმოდგენილია მუდმივმოქმედი ექსპოზიცია და ასევე, დროებითი საგამოფენო სივრცე. თანამედროვე ინფრასტრუქტურის დახმარებით, უახლესი სტანდარტების დაცვით მოეწყო ფონდები, სამეცნიერო ლაბორატორიები, აუდიტორია, ბიბლიოთეკა-მედიათეკა და საზოგადოებრივი სივრცეები – კაფე, მუზეუმის მაღაზია, ღია ვერანდები.

განახლებული მუზეუმის აუდიტორიაში, რომელიც მუზეუმსა და საზოგადოებას შორის მჭიდრო კავშირის დამყარებასა და საზოგადოების განათლებას ემსახურება, განახლდება „ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები“ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მონაწილეობით. სიმპოზიუმები მუზეუმის დაარსებიდან რეგულარულად მიმდინარეობდა და ანტიკური ხანის შავიზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებს ეძღვნებოდა.

განახლებული მუზეუმი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც ქვეყნის და კულტურის იდენტობისა და თვითშეცნების საქმეში, ასევე რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარებაში.

მუზეუმის რეაბილიტაცია განახორციელა საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

№ 141-142. შაბათი-ორშაბათი, 24-26 ოქტომბერი, 2020 წელი.

# როგორ ვუმკურნალოთ კოვიდს სახლში,

**ბოლო** რამდენიმე დღეა, კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა რამდენიმე ათასით გაიზარდა. 22 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყანაში 13 000-ზე მეტ მოქალაქეს აქვს დადასტურებულად კოვიდ-19-ის დიაგნოზი. ინფიცირების შემთხვევების სწრაფ მატებასთან ერთად მატულობს იმის ნიშნებიც, რომ ჯანდაცვის სისტემა კრიზისში შევიდა...

ქართველი ექიმები მოქალაქეებს, ვისაც ვირუსის სიმპტომები ან დადასტურებული დიაგნოზი აქვთ და სახლში თვითიზოლაციის პირობებში რჩებიან, საკუთარ გამოცდილებას უზიარებენ. გთავაზობთ რამდენიმე ექიმის რჩევებს, რომლებიც შინ მკურნალობის ან კორონავირუსის სიმპტომების აღმოჩენისას დაგეხმარებათ.

## რას გვირჩევენ ექიმები

### არ ჩავარდეთ პანიკაში, სვით სითხე, იმოძრავეთ!

**„მთავარია, არ შეგეშინდეთ, პანიკამ არ მოგიცვათ და მედიკამენტების არამიზნობრივი გამოყენებით თუ სამედიცინო დაწესებულებების არასაჭირო ვიზიტით მდგომარეობა არ გაიუარესოთ. თუ თქვენ არ განეკუთვნებით მაღალი რისკის ჯგუფს, ტესტირება ან ექიმთან ვიზიტი მსუბუქად მიმდინარე დაავადებისთვის აუცილებელი არ არის“,** — მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ექიმი ნანა გეგეჭკორი ყველას, ვინც ხვდება, რომ კორონავირუსის სიმპტომები აქვს.

ნანა გეგეჭკორი პანდემიის დაწყების დღიდან ნიუ-იორკის მაიმონიდის ჰოსპიტალში იყო ჩართული კოვიდინფექციასთან ბრძოლაში. მან გაზაფხულზე, კორონავირუსის პირველი ტალღისას, თავადაც გადაიტანა დაავადება საკუთარ სახლში, მეგობარი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ. რჩევები კოვიდინფიცირებულებისთვის ნანამ ასევე შტატებში მცხოვრებ ქართველ ექიმთან ზურაბ გურულთან ერთად შეადგინა.

სიმშვიდისკენ მოუწოდა შინ დარჩენილ პაციენტებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **ამირან გამყრელიძემაც,** რომელმაც აღიარა, რომ გადატვირთული სისტემის გამო, კოვიდპაციენტები დაგვიანებით იღებენ ექიმის დახმარებას.

**„მათ, ვინც ბინაზე რჩებიან, პირველ რიგში, ვურჩევ, რომ არ იყოს პანიკა. ვინც ბინაზე მკურნალობენ, არიან ძირითადად მსუბუქი და უსიმპტომო პაციენტები. აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი სითხის მიღება, ბინაში მეტი მოძრაობა და არა უმოძრაოდ ყოფნა. ასევე კონტროლი ტემპერატურისა, ის თუ ადის 38 გრადუსზე ზემოთ, სიცხის დამწევის მიღება აუცილებელია!“** — ასეთია ამირან გამყრელიძის რეკომენდაცია, რომელიც მოსახლეობას არწმუნებს, რომ სახლში მყოფი პაციენტების 99 % ძალიან სწრაფად, 12 დღის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდება და გადამდები აღარ იქნება.

### ფრთხილად მედიკამენტებთან!

**„სინამდვილეში, კოვიდინფიცირებულებს მკურნალობა ან არ სჭირდებათ, ან თუ სჭირდებათ, რეანიმატოლოგების კვალიფიკაციაზე და სიყოჩაღეზე ვართ დამოკიდებულები. ასეთი რეალობის წინაშე ვართ ამ ეტაპზე“,** — ეს ინფექციონისტ **მაია ბუწაშვილის** რჩევაა შინ დარჩენილი პაციენტებისთვის, რომლებიც ოჯახის ექიმებისგან სხვადასხვა წამლის, გადასხმის ან ვიტამინის დანიშვნას ითხოვენ.

მედიკამენტებთან დაკავშირებით სიფრთხილეს გვირჩევს ნანა გეგეჭკორიც, მისი ვრცელი რჩევები კონკრეტული ჯგუფის მედიკამენტებთან დაკავშირებით, ასეთია:

- **არაჰოსპიტალიზებულ პაციენტებს ანტიკოაგულაციური ან ანტითრომბოციტული მკურნალობა არ სჭირდებათ. ექიმის დანიშნულების გარეშე ნუ დალევთ პრეპარატებს, რომლებსაც მოსახლეობაში ე.წ. სისხლის გამათხელებლებს ეძახიან. ამ პრეპარატების ნაწილი განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც სპეციფიკური სისხლის დაავადებები და ღვიძლის უკმარისობა აქვს.**

- **არ იხმაროთ სტეროიდები, ე.წ. დექსამეტაზონი და ჰიდროკორტიზონი. მათ აღარ იყენებენ მსუბუქი დაავადების სამართავად. მეტიც, არსებობს ლოგიკური ეჭვი, რომ სტეროიდების ნაადრევმა, არამიზნობრივმა გამოყენებამ შეიძლება გააუარესოს დაავადების მიმდინარეობა და კუჭ-ნაწლავის სისხლდენა გამოიწვიოს.**
- **ნუ მიიღებთ ანტიბიოტიკებს ექიმის დანიშნულების გარეშე. კოვიდი არ არის ბაქტერიული ინფექცია. ის ვირუსული დაავადებაა და მასზე ანტიბიოტიკები გავლენას ვერ ახდენენ. ანტიბიოტიკი გვჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოვიდდაავადება რთულდება თანდართული ბაქტერიული პნევმონიით ან სხვა სისტემის ბაქტერიული ინფექციით.**

რაც შეეხება ვიტამინებს — არ არსებობს კვლევა, რომელიც ადასტურებს „ც“ ვიტამინის ან მულტივიტამინების ეფექტურობას კოვიდინფექციის მკურნალობაში. არსებობს შედარებით სუსტი მტკიცებულება „დ“ ვიტამინის სარგებლიანობასთან დაკავშირებით. ვინაიდან მცირე ხნით „დ“ ვიტამინის გამოყენება ზედოზირებას არ იწვევს, შეგიძლიათ, ის მიიღოთ.

### იმოძრავეთ, აუცილებელია ფიზიკური აქტივობა!

ექიმები გვირჩევენ, სახლის პირობებში პულსოქსიმეტრით ვაკონტროლოთ სისხლში ჟანგბადის შემცველობა. მნიშვნელოვანია ტემპერატურის კონტროლიც.

**„ავარჯიშეთ სასუნთქი სისტემა. ყველაზე მარტივია ბუშტის გაბერვა დღეში რამდენჯერმე. სუნთქვითი ვარჯიშები განსაკუთრებით აქტუალურია მათთვის, ვისაც დაზიანებული აქვს სასუნთქი გზები.**

**იმოძრავეთ რამდენსაც შეძლებთ. ბევრს არც ეზო აქვს და არც სოფელი, ამიტომ ოთახში მოუწევს სიარული, მაგრამ გაითვალისწინეთ, ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. მოძრაობა დაგიცავთ ქვემო კიდურების ვენური თრომბოზებისგან. თუ ოთახში სიარულს ვერ ახერხებთ, სცადეთ მსუბუქი ვარჯიშები ადგილზე.**

**იძინეთ საკმარისად, ეს დაგეხმარებათ სიმშვიდის შენარჩუნებაში.**

**ეცადეთ იკვებოთ სრულფასოვნად“,** — ასეთია ნანა გეგეჭკორის რეკომენდაციები მანამ, სანამ მდგომარეობა სტაბილურია.

### როგორ ვხვდებით, რომ მდგომარეობა მძიმდება?

ჯანმრთელობის გაუარესება გულისხმობს გონების დაბინდვას, უკიდურესი დაღლილობის შეგრძნებას, რომელიც მოძრაობის უნარს ზღუდავს, მაღალ ტემპერატურას, რომელსაც წამლებით ვერ იგდებთ და გამოხატულ სუნთქვის უკმარისობას.

მდგომარეობის დამძიმების ნიშნებია ნახველიანი ხველა. ასევე უჩვეულოდ აჩქარებული გულისცემა (ნორმალური გულისცემის სიხშირე არ უნდა აღემატებოდეს 100 დარტყმას წუთში), ქოშინი მინიმალური დატვირთვისას, ტკივილი, უჩვეულო სიმძიმის ან მოჭერის შეგრძნება გულმკერდის არეში, ხშირი დიარეა და ღებინება, ასევე ფეხების ასიმეტრიული შეშუპება.

- ნანა გეგეჭკორი მოგვიწოდებს, რომ ოჯახის ექიმს ან გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ცენტრებს მივმართოთ იმ შემთხვევაში, თუკი:
- პაციენტს თავიდანვე აქვს სუნთქვის შესამჩნევი უკმარისობა — მკვეთრად არის გაზრდილი სუნთქვის სიხშირე და სიმძიმე;
- პაციენტის სისხლში ჟანგბადის შემცველობა თავიდანვე არ აღემატება 94 %-ს (ეს მათთვის, ვისაც აქვს პულსოქსიმეტრი);
- პაციენტს ახასიათებს ლეთარგია, ძილად მიგდება, გონების სრული დაბინდვა;

გამოხატულია მწვავე კორონარული ან გულის უკმარისობა თუნდაც მსუბუქი კოვიდინფექციის მიმდინარეობისას.

ნანა გეგეჭკორის მიერ გაწერილი რჩევებიდან, იზოლაციაში სიმპტომების მქონე პაციენტი უნდა იყოს პირველი სიმპტომის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში მაინც და იზოლაციის მოსახსნელად აუცილებელია, ბოლო 48 საათი იყოს უსიმპტომო, ყოველგვარი სიცხის დამწევის მოხმარების გარეშე.

### როგორ ვიყოთ სახლში იზოლირებულები ისე, რომ ოჯახის წევრებს საფრთხე არ შევუქმნათ?

- ასეთი შემთხვევებისთვის ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგ არჩილ მარშანიას რჩევები გამოდგება, რომელიც საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის_და დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურების_მიხედვით არის შედგენილი:
- **მოთავსდით იზოლირებულ ოთახში, სადაც არის კარგი ვენტილაცია და ფანჯარა, რომელიც იღება. დახურეთ კარი;**
- **გამოიყენეთ ცალკე აბაზანა, თუ ეს შესაძლებელია. თუ ამის საშუალება არ არის, აუცილებელია რეგულარული გაწმენდა. თუ ცალკე სველი წერტილი არ არის ხელმისაწვდომი, ის რიგრიგობით უნდა იყოს გამოყენებული, ანუ თვითიზოლაციაში მყოფმა პირმა სველი წერტილი ბოლომ უნდა გამოიყენოს და შემდეგ ისევ კარგად გაიწმინდოს სადეზინფექციო ხსნარებით;**
- **კვებისთვის გამოიყენეთ ცალკე ჭურჭელი, ჭამეთ იზოლირებულ ოთახში და არა სამზარეულოში. ჭურჭელი უნდა გაირეცხოს კარგად, სარეცხი საშუალებით და თბილი წყლით და გამშრალდეს ცალკე პირსახოცის საშუალებით. შესაძლებელია ჭურჭლის სარეცხი მანქანის გამოყენებაც.**
- **თვითიზოლაციაში მყოფი პირის პირსახოცებს არ ხმარობენ ოჯახის სხვა წევრები;**
- **ხველის ან ცემინების დროს პირსა და ცხვირზე აიფარეთ ერთჯერადი ცხვირსახოცი;**
- **თავი შეიკავეთ თქვენს შინაურ ცხოველებთან კონტაქტისგან.**

დაბოლოს, გახსოვდეთ ინფექციონისტ მამუკა მაჩაიძის გაფრთხილება, რომ „არც ერთი ტესტი და არც ერთი ექიმი სრულყოფილი არ არის! თუ თქვენ გქონდათ კონტაქტი დადასტურებულ შემთხვევასთან და გაქვთ ტიპური სიმპტომები, უარყოფითი ტესტის შემთხვევაშიც ეს რეკომენდაციები არის დასაცავი“, უნდა იყოთ იზოლაციაში და დააკვირდეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

**ნასტასია არაბული**

## საქართველომ წითელ ზონაში გადაინაცვლა

**დაავადებათა** კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა, რომ საქართველომ ნარინჯისფერიდან წითელ ზონაში გადაინაცვლა.

**„ბოლო ორი კვირის განმავლობაში არსებული მონაცემებით, 100 ათას მოსახლეზე, ინფიცირების მაჩვენებელი უკვე გვაქვს 26. შედეგად ჩვენი შიდა „შუქნიშნის“ მიხედვით, ნარინჯისფერიდან გადავედით წითელ ზონაში. ამას გიდასტურებთ, მეორე მაჩვენებელი, კუმულატიური მაჩვენებელი, რომელსაც ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრი ითვლის, იქაც ავცილდით 300-ს, მაგრამ კარგი მაჩვენებელი გაქვს ტესტირებაში. მილიონ მოსახლეზე გვაქვს 213 თუ 214 ათასი ტესტი, საერთო, ხოლო ყოველდღიური — 9-10 ათასის ფარგლებში, რაც ეპიდემიის ამ მასშტაბისთვის კარგია, ნურც პანიკას მივეცემით და ნურც დამშვიდებას. შემთხვევების ზრდა იქნება. ეს ჯერ გაგრძელდება. ჩვენი გათვლებით, პიკში შევალთ ნოემბრის მეორე, მესამე კვირაში“,** — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.




## თბილისში მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვა ამ ეტაპზე არ იგეგმება

**ნათია** მეზვრიშვილის განცხადებით, თბილისში მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვა ამ ეტაპზე არ იგეგმება, — ამის შესახებ მან მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„როგორც ჩანს, ჩვენ უკვე ვეჩვევით ვირუსთან თანაცხოვრებას, გარკვეული წესებით ცხოვრებას, რომლებზეც არაერთხელ გვისაუბრია და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შევაფასოთ. ჩვენი მოქალაქეების მხრიდანაც ურთიერთთანამშრომლობა სახეზეა. რა თქმა უნდა, არის დარღვევის შემთხვევები, თუმცა სულ უფრო შეინიშნება თანაცხოვრების, შეგუებისა და წესების შესრულების ნიშნები. იმედი გვაქვს, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება ... „თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გარე სივრცეებში პირბადის ტარების მკაცრი რეკომენდაციაა,“** — განაცხადა ბრიფინგზე ნათია მეზვრიშვილმა.

## კორონავირუსის ეპიდემიოლოგიური აფეთქება მსოფლიოში

**კორონავირუსის რეკორდული ზრდა ყოველდღე თვალსაჩინოა მთელ მსოფლიოში. ვირუსის გავრცელების მთავარი ზონა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტია.**

უმძიმესი მდგომარეობაა აშშ-ში, სადაც კოვიდ 19-ით უკანასკნელ 24 საათში 71 671 ადამიანი დაავადდა ვირუსით, ხოლო 856 პაციენტი დაიღუპა. საერთო ჯამში გარდაცვლილთა ოდენობა შეადგენს 223 032-ს.

რთული ვითარებაა გერმანიაში, სადაც უკანასკნელ 24 საათში ქვეყნისთვის უჩვეულოდ რეკორდული ინფიცირების მაჩვენებელი დაფიქსირდა — დაავადდა 11 242 ადამიანი, ხოლო 49 პაციენტი დაიღუპა. მიუხედავად ვირუსის ზრდის მაჩვენებლისა, გერმანია ჯერ კიდევ რჩება ისეთი სტატუსის მქონე ქვეყნად, სადაც კოვიდ 19-მა დიდ ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლები ადამიანი, 10 000-მდე პაციენტი იმსხვერპლა.

# ᲡᲐᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ, ᲘᲥ ᲛᲘᲩᲘᲕᲚᲔᲗ!

**ᲬᲔᲠᲘᲚᲡ** **საკმაოდ კომპეტენტური ექსპერტის დავით ქართველიშვილის ფეისბუქ-პოსტით დავიწყებ: „დღეიდან, მსოფლიო ფსიქოლოგიაში მკვიდრდება ახალი ტერმინი – „ზუგდიდის სინდრომი“, როდესაც ტერორისტის ხელში მძევლად ვარდება მოქმედი ხელისუფლებისა და მისი სამართალდამცავი სისტემის მაგინებელი ოპოზიციური პარტიის აქტივისტი, ხოლო განთავისუფლების შემდგომ იგივე ყოფილი მძევალი იმავე ხელისუფლებისა და მისი ძალოვნების მიმართ ღია მხარდაჭერას, მადლიერებას და სიმპათიებს ამჟღავნებს.**

როგორც ჩანს, გუშინწინ „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის სათაო ფილიალში მომავალ არჩევნებში „41“ ნომრის კიდევ ერთი შემომხაზველი დაიბადა.

„ხოლო ახლა მხიარულება და სიხარული გვმართებს, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა“ (ლუკა, 15:11-32)“.

დიახ, სწორედაც, რომ „ზუგდიდის სინდრომი“, რადგანაც 21 ოქტომბერს ზუგდიდში განვითარებულმა მოვლენებმა და იმ შეფასებებმა, რაც მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა, ძალიან ბევრი რამ დაგვანახა.

დაგვანახა არა მხოლოდ ე.წ. ოპოზიციის და მათი ტელევიზიების ნაძირლური ბუნება (ეს ისეც კარგად ვიცოდით), არამედ საზოგადოების საკმაოდ უცნაური დამოკიდებულება სახელმწიფოს მიერ ასეთ ექსტრემალურ მდგომარეობაში განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართ.

ასევე უცნაური იყო როგორც თავად თავდამსხმელის, ასევე ზოგიერთი მძევლის საქციელი.

თავდამსხმელმა მძევლებს არ ჩამოართვა ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც მათ ჰქონდათ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალება და ჩათში ახლობლებთანაც კი ჭორაობდნენ.

უცნაური იყო თავდამსხმელის კომუნიკაცია ნიკა გვარამიასთან.

რა, ნიკა გვარამიას ვერტმფრენი ჰყავს და უსაფრთხოდ გაიყვანდა, თუ რატომ დაუკავშირდა კონკრეტულად მას თავდამსხმელი?

ახლა არ გამიმეოროთ გვარამიას ტექსტი – ერთ-ერთი მძევალი ჩემი ფრენდიაო. რა, მძარცველმა პირველი ის იკითხა, გვარამია რომელს გყავთ ფრენდებშიო?

ეგეთი სისულელეები დიანა ტრაპაიძეს მოუყევით.

იმ ტრაპაიძეს, რომლის ტელევიზია პირდაპირ ეთერში აჩვენებდა სნაიპერების განლაგების ადგილებს, მაგრამ ეს უკვე აღარ გვიკვირს. ახლა კი მთავარი, რაზეც მინდა ყურადღების გამახვილება:

„სახელმწიფო ეს არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებამოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი“.

არსად წერია, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ელოდება არჩევნების ჩავლას, არ წერია, რომ პრეზიდენტობის ვიღაც კანდიდატს (დიახ, სწორედაც რომ „ვიღაც“ კანდიდატს) უფლება აქვს ჩაიდინოს კრიმინალი, ყოფილმა სახელისუფლებო გუნდმა გაასხვისოს ქართული მიწები, მოახდინოს კანონდარღვევის პროპაგანდა და წინააღმდეგობა გაუწიოს სამართალდამცველებს.

არსად წერია, რომ გარდაცვლილის მიერ მის წამებაში მხილებული პიროვნება იჯდეს საკანონმდებლო ორგანოში. არსად წერია, რომ ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა თავისი პროპაგანდის განყოფილების მეშვეობით ახდენდეს დესტაბილიზაციას, არღვევდეს ქვეყნის ერთიანობას და ახმიანებდეს მოწოდებებს სახელმწიფოში არეულობის მოსაწყობად.

არსად წერია, რომ რომელიღაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს ხელმძღვანელს, თუნდაც ეს საწარმო იყოს ტელევიზია, აქვს უფლება, საჯაროდ და დაუსჯელად სცემოს ვინმე.

არსად წერია, რომ...

არსად წერია, რომ...

როგორც წესი, ე.წ. კრიმინალი და რვაუკანალა ოპოზიცია ზეიმობს მძარცველის მიერ მძევლების აყვანასა და ნახევარი მილიონი დოლარის გატაცებას, ანუ ზეიმობს იმას, რომ ქვეყანაში კრიმინალი მოხდა და არა ირიბად, არამედ პირდაპირ და ცდილობს, ხელისუფლება წარმოაჩინოს როგორც უუნარო და სუსტი. აგრძელებს იმ ნარატივს, რომლითაც ხელმძღვანელობენ ნაცტელევიზიები სხვადასხვა ტრაგედიის გაშუქების დროს. ამას აკეთებს იმიტომ, რომ საზოგადოებაში კიდევ უფრო გააძლიეროს დაუცველობის შეგრძნება და, მარტივად რომ ვთქვა, არჩევნებამდე ათი დღით ადრე რაღაც უბადრუკი ქულები დაიწეროს.

ის, რაც გუშინ ზუგდიდში მოხდა, არის კრიმინალი და რა კვალიფიკაცია მიეცემა – ყაჩაღობა, ტერაქტი, იარაღის უკანონოდ ტარება, წამება თუ კიდევ სხვა, ეს იურისტების საქმეა, დამნაშავის დაკავება კი – შესაბამისი სამსახურებისა.

სახელმწიფოს უშუალო მოვალეობა კი ისაა, რომ სისხლი არ დაიღვაროს და ყველა დაზარალებულის სიცოცხლე და ჯანმრთელობა იყოს შენარჩუნებული (რაც წარმატებით განხორციელდა).

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ის, რაც მოხდა, არის კრიმინალი და არა პოლიტიკა, მაგრამ თავად კრიმინალი პოლიტიკანები, რომლებიც ციხეში უნდა ისხდნენ და არა საკანონმდებლო ორგანოში, ამ ფაქტთან, როგორც ბოლშევიკები ამბობდნენ, социальную близость, ანუ სულიერ თანხვედრას პოულობენ.

ცხადია, მათ ერჩივნათ, მომხდარიყო სისხლიანი სპეცოპერაცია „რუსულ სტილში“. დაღუპულიყვნენ მოქალაქეები და შემდგომ მოკლული თავდამსხმელის ცხედართან ფოტოები გადაეღოთ.

მათ არ ესმით, თუ რატომ არ მოითხოვა შს მინისტრმა „გვამები“. არ ესმით, რადგან ეს მათს მენტალობაში არ ჯდება.

სწორედ ამიტომ ჩქმალავენ როგორც მძევლების უსაფრთხოდ გამოყვანას, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ავთანდილ გალდავასა და კიდევ ორი ადამიანის ღირსეულ საქციელს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ამყარებს (სახელმწიფო) საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც არის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტი!!!

მე მინდა ვიცხოვრო სახელმწიფოში!

წერილს კი არც ისე არაკორექტული ტექსტით დავამთავრებ, რაზეც პატიებას ნამდვილად არ ვითხოვ!

შეგიძლიათ, მიწოდოთ ბოროტი, ქსენოფობი, კაცთმოძულე, ფაშისტი, ჰომოფობი და მრავალი სხვა!..

არ მაინტერესებს!

არ მაინტერესებს იმიტომ, რომ **ვერასდროს ავიტან არსებებს, ვინც ჩემს სამშობლოს ყიდის.**

**ვერასდროს ავიტან ტიპებს, ვინც ჩემს რწმენას (არ ვარ ისეთი მორწმუნე როგორიც უნდა ვიყო, მაგრამ ჩემია) შეურაცხყოფს.**

**ვერასდროს ავიტან ხელისუფლებაში მკვლელებისა და დამნაშავეების მოსვლის სურვილს და ამის გამო დესტაბილიზაციის პროპაგანდას.**

**ვერასდროს ვიქნები იმ ნაძირალების გულშემატკივარი, ვინც ჩემს დასაცავად წასულ ჯარისკაცს შუა ბრძოლაში ურეკავდა და საბანკო პროცენტის გადახდას სთხოვდა.**

**ვერასდროს ავიტან რვაუკანალა ტიპებს.**



**ვერასდროს გავუტარებ ნამდვილი თავისუფლების დამახინჯებას იმათ, ვინც ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იცის.**

**და კიდევ ბევრ რამეს ვერ ავიტან!!! ახლა დაახვიეთ და სადაც ყველაზე დიდ და ახალგარემონტებულ სასამართლოს ნახავთ, იქ მიჩივლეთ.**

**ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ**

## ᲐᲯᲔᲚᲐᲗ ᲐᲐᲪᲓᲘᲜᲐ!..

(პირველი გვერდიდან)

ზემოხსენებულ დასავლურ პოლიციურ ფილმებში, მე პირადად, გამარჯვებული მძარცველი არ მახსოვს. მას, როგორც წესი, იჭერენ რომელიღაც ეტაპზე, იქვე ადგილზე თუ სამშვიდობოზე გასულს. ახლა მთელი იმედი იმაზეა, რამდენად სწრაფად მიაგნებენ, ხოლო თუ აფხაზეთში გადასვლა მოასწრო და იქ გაბაწრეს, გადმოგვცემენ თუ არა. ერთი სიტყვით, ზუგდიდის ოპერაცია გრძელდება და ჯერ არ ვიცით, როდის დამთავრდება!..

სალაპარაკო და სამსჯელოა დამნაშავის პიროვნებაც. ის აშკარად არ იყო ვინმე რიგითი ბაცაცა, კარგად მომზადებულ, გაწვრთნილ კაცს ჰგავდა, უფრო მოქმედ ან ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს, კარგად იცის, რასაც აკეთებს: მთელი 6-7 საათის განმავლობაში მას არ მოუწევია, წყალი არ დაულევია, საპირფარეშოში არ გასულა. ერთი სიტყვით, კვალი არ დაუტოვებია, პროფესიონალი სპეცრაზმელივით იქცეოდა.

აქვე იბადება ერთი უკეთური ეჭვიც: რატომ მოხდა ეს ბანკზე თავდასხმა მაინცდამაინც ზუგდიდში, სადაც იმ დღეს ოპოზიციის ხალხმრავალი აქცია მიმდინარეობდა, მაინცდამაინც არჩევნების კვირაძალზე? ზუგდიდს მოჰყვა თავდასხმები ქობულეთში (გაძარცვეს ინკასატორი), ქარელში (სცემეს საკრებულოს წევრი), დმანისში (ცეცხლი გაუხსნეს „ოცნების“ შტაბს, დაჭრეს პარტიის 4 მხარდამჭერი), რაც რადიკალურმა ოპოზიციამ უმალ გამოიყენა იმის „საილუსტრაციოდ“, რომ „ხელისუფლება ფაქტობრივად არ გვყავს, „ქართული ოცნების“ ხელში ქვეყანა უპატრონოდ არის მიტოვებული; კრიმინალმა იმძლავრა; პოლიცია უმოქმედოდაა“... იქნებ ეს ერთმანეთს მიჯრილი შემთხვევები შემთხვევითიც იყოს, მაგრამ ასეთი „შემთხვევითობა“ (შემთხვევითობები) პირდაპირ ცის მანანასავით ეფონება კრაზანების ბუდესავით აშლილ და გაავებულ ოპოზიციას, რომელსაც იმედიანი განცხადებების მიუხედავად, გამარჯვების მაინცდამაინც დიდი იმედი არ ეტყობა აკანკალებულ კოჭებში.

ზუგდიდის ბანკში ამტყდარი ვაიუშველებლის პარალელურად ქალაქში დიდი ვნებათაღელვა დუღდა. იქ პირდაპირ გავეშებული ბობოქრობდა ევრონაცების ერთ-ერთი ლიდერი, ზუგდიდის (და სხვათა) მაჟორიტარობის კანდიდატი გიგი უგულავა. იგი გამარჯვებული სარდალივით ირჯებოდა: აფრქვევდა ლოზუნგებს, ლანძღავდა ხელისუფლებას, სიტყვიერად შეება „ქართული მარშის“ წარმომადგენელს. ერთი სიტყვით, უკეთური სანახავი იყო,. რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ პოლიციის თვითგვემა და ოპონენტთა გულში ჩაგუბებული კმაყოფილება ხელიდან გამსხლტარი თავდამსხმელის გამო, გვერდზე უნდა გადავდოთ. რას იზამ, აკელამ აიდინა! ახლა იგი სამეგრელოს ტყეებში მეორე ნახტომისთვის უნდა ავარჯიშებდეს კუნთებს. და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა საქართველოს თავს გველეშაპი დასწოლია.

ახლა ნამდვილად გამოიკვეთა, რა ურჩხულიც ყოფილა ეს კორონავირუსი. ერთ კვირაში მსოფლიოში 2,4 მილიონზე მეტი დაინფიცირდა, საქართველოში კი ერთ დღეში – 1759 კაცი, მაგრამ საქართველოს მთავრობა რისკზე მიდის: 21 ოქტომბრიდან უცხოეთიდან დაბრუნებული ჩვენი მოქალაქენი კოვიდზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სავალდებულო კარანტინის ნაცვლად თვითიზოლაციას დაექვემდებარებიან.

არადა, მდგომარეობა მართლაც სერიოზულია და ჩვენმა ენჯეოებმა (12-მა არასამთავრობომ) მისი მარჯვედ გამოყენება ჩაიფიქრეს: მიიჩნიეს, რომ აუცილებელია განისაზღვროს ინფიცირების ის პიკური მაჩვენებელი, როცა ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოაცხადოს. ამას უეჭველად უნდა მოჰყვეს... არჩევნების გადადება. ეს დღეს ოპოზიციის გულისნადებია, რადგან კოვიდ 19-ის გავრცელების სიჩქარის შესაბამისად ეცემა ოპოზიციის რეიტინგი, იმავდროულად ნერვები, რა თქმა უნდა, აწყდება ხელისუფლებასაც, თუმცა... ვისოლჯგუფისა და ბიზნესის ასოციაციის პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე გვამცნობს, პანდემიის საჭიროებათა შესახებ სასაუბროდ მთავრობის ადმინისტრაციაში ბიზნესმენებთან შეხვედრის შემდეგ, როცა გიორგი გახარიას ვამხნევებდით, მან პირდაპირ გვითხრა: კარგად ვარ, მხნედ ვარ, ფორმაში ვარო. ჩვენთვის ეს მხნეობა ღირებულიაო.

მართლაც! ახლა სწორედ მხნეობის დროა. მით უფრო, პრემიერის მხრიდან – მისი მხნეობა მისაბაძი და გადამდებია. თორემ „ჰანიბალი კარზეა მომდგარი!“ მაგალითად, მიშას გენერალ-ადიუტანტმა ხატია დეკანოიძეს საჩხერეში ოპოზიციის საერთო მაჟორიტარობის კანდიდატად გიორგი კაპანაძის წარდგენისას თავისი ბებიისა და ბაბუის საფლავზე დაუფიცია, როგორც ადოლფ ჰიტლერმა თავის დროზე პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდის კუბოსთან დაიფიცა, რომ ამ ქვეყანას გაათავისუფლებს მავნე ოლიგარქისგან. საქართველო მისი სამშობლო არ არის, ის ჩვენი სამშობლოაო.

მიხეილ სააკაშვილმა კი კიევიდან საჩხერეში სპეცჩართვით მხარი მისცა მის ძვირფას ხატიას: ივანიშვილს ჭორვილიდან მოსკოვში გავამგზავრებთ სპეცრეისითო. სპეციალურად გავხსნით ერთი დღით საჩხერეში საერთაშორისო აეროპორტს და ჭორვილა-მოსკოვის რეისით ჩავაბარებთ თავის პატრონს გაზპრომშიო. თუ დღეს საქართველოს არ გადავარჩენთ, მერე როგორც ქვეყანა – გაქრება. ბევრი ერი გაქრება თანამედროვე ეპოქაში და საქართველოც ახლა გაქრობის საფრთხის წინაშეაო!

ასეა, ჩემო კეთილებო, საქმე. ამ გაქრობის საშიშროების ქვეშ კიდევ ერთი კვირა გაძლება არ გინდა!

**ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

## ბედისწერა

# გადავარჩინოთ დავით ხახალეიშვილი!

**კორონავირუსის პანდემიით კიდევ უფრო დამძიმებულ ამ ჩვენს ცოდო-მადლიან სამშობლოში კაცს რაღა გააკვირვებს, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონის, სახელოვანი ძიუდოისტის დავით ხახალეიშვილის ბედისწერამ და ჯანმრთელობის კრიტიკულმა მდგომარეობამ მთელი ქართული საზოგადოებრიობა შეაშფოთა.**

**ლერი ხაბელოვი – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:** თბილისის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის პაციენტს დილატაციური კარდიომიოპათიის რთული ფორმა დაუდგინდა, ქართველ და უცხოელ ექიმთა დასკვნით კი მისი სიცოცხლის გადასარჩენად ერთადერთ გამოსავლად გულის ძვირადღირებული ოპერაცია რჩება, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გაუკეთდეს. ქირურგიული ჩარევისა და რეაბილიტაციის საფასური 250 ათასი დოლარია.

შეგახსენებთ, რომ დავით ხახალეიშვილი პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელსაც მეტად საპატიო მისია ერგო – ისტორიაში პირველად დამოუკიდებელი საქართველოს დროშით ხელში ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე გამოსულიყო.

იგი პირველი ქართველი ოლიმპიელია, აგრეთვე, რომლის გამარჯვების აღსანიშნავადაც ოლიმპიადაზე საქართველოს ჰიმნი აჟღერდა და ქართული დროშა აღიმართა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით მოკლე დროში შეგროვდება დავით ხახალეიშვილის საოპერაციოდ და გადასარჩენად საჭირო თანხა!

**ბეჭან დოლიძე**

## ევროლიგა

# ცაიტნოტის ფაქტორი

**ახალი გუნდის შექმნა რომ ურთულესი პროცესია, ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის ცსკა-ს მაგალითიც მოწმობს, რომელიც შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ რამდენიმე ლიდერმა დატოვა.**

მართალია, ფინანსურად წელგამართულ არმიელებს წასულთა სრულფასოვან შემცვლელთა მოძიება და საკუთარ რიგებში ჩარიცხვა არ გასჭირვებიათ, მაგრამ ბერძენ თავკაცს დიმიტრის იტუდისს მათ შესათამაშებლად და ტაქტიკურ სქემებთან მოსარგებად დრო არ ეყო.

დაუმატეთ ამას სტრელნიეკსისა და მილუტინოვის ტრავმები, რაც ზუსტად გიპასუხებთ კითხვაზე – ჯგუფური რაუნდის ხუთი ტურის შემდეგ რატომ აქვთ მოსკოველებს სამი წაგება.

ამჯერად ტურნირის ფავორიტი ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ ოვერტაიმში დამარცხდა – 84:86.

სტუმრებს ვერც ჰეკეტის ბრწყინვალე მონაგარმა უშველა – 29 ქულა, რადგან ლოიდმა სერბებს უფრო მეტი – 31 ქულა შეაწია.

რაც შეეხება **თორნიკე შენგელიას,** იგი ბრძოლაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, რაც იშვიათი შემთხვევაა და ჩვეული პირადი სტატისტიკით დასრულა შეხვედრა – 21 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება.

29 ოქტომბერს ცსკა „ვალენსიას“ უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ელ კლასიკო

# კუმანის დებიუტი

**დღეს 18 საათზე ესპანური ელ კლასიკო დაიწყება: „ბარსელონა“ – „რეალი“, რომელიც, როგორც ყოველთვის, კვირის მთავარი ევროპული საფეხბურთო მოვლენაა.**

პრინციპულ მეტოქეთა მორიგ ბრძოლას ინტრიგას კატალონიელთა ახალი თავკაცის რონალდ კუმანის ფაქტორი მატებს, რომელიც მთავარი მწვრთნელის ამპლუაში „ბროწეულისფერებს“ პირველად დამოძღვრავს.

გუნდებს საკადრო პრობლემები მოეძალათ, რომელთაგან უმთავრესი ტრავმირებულების – მასპინძელთა მეკარე ტერ შტეგენისა და „სამეფო კლუბის“ ნახევარმცველის აზარის არყოფნაა, მაგრამ ამით მატჩის ინტრიგას ბევრი არაფერი აკლდება – დიდი ალბათობით, ცარიელ „კამპ პოუზეც“ დაინთება ცეცხლი.

მოახლოებული მოვლენის წინ სასიამოვნო სიახლემ გამოჟონა „ბარსას“ ბანაკიდან – გუნდს უბრუნდება ახალგამოჯანმრთელებული ხორდი ალბა, თუმცა, კიდევ უფრო დამაიმედებელია იტალიიდან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ეტყობა, საბოლოოდ გამოირიცხა ჩემპიონთა ლიგის 28 ოქტომბერს „იუვენტუს“ – „ბარსელონას“ შეხვედრაში კრიშტიანუ რონალდუს თამაში, რომლის კორონავირუსის ტესტმაც მეორედ აჩვენა დადებითი შედეგი.

**კობა კობახიძე**

## ენგურს გაღმა

# ტალანტებს რა გამოლევს

**მართალია, ტალანტების სამჭედლო – აფხაზეთი ჯერჯერობით ისევ მოწყვეტილია დედასამშობლოს, მაგრამ საქართველოს ზღვისპირა მარგალიტში, ავად თუ კარგად, სპორტული ცხოვრება ისევ გრძელდება.**

სწორედ ამ აქტუალურ თემაზე საუბრობს საფეხბურთო ექსპერტი **ირაკლი ხვედელიანი,** თუმცა, თავდაპირველად იქაურ ვუნდერკინდს წარმოგვიდგენს:

– უნიჭიერესი მოზარდი **ლევ აჯიბა** 2008 წლის 15 დეკემბერსაა დაბადებული, მაგრამ უკვე მიიქცია სანკტ პეტერბურგის „ზენიტისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ სელექციონერთა ყურადღება, რომლებიც უახლოეს პერიოდში „ბარსელონაში“ სინჯებზე წაყვანასაც ჰპირდებიან. დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტია.

## ანუ დავიბრუნოთ ერთმანეთი!

დიდი წვალების შემდეგ დავუკავშირდი მის ოჯახს და დავადგინე, რომ ასევე ფეხბურთელი მამა დაღუპული ჰ ყავს და ბავშვის აღზრდაზე ბაბუა და ბიძა ზრუნავენ, რომლებსაც საქართველოს მხრიდან არანაირი წინადადების განხილვა არ სურთ. ვიმედოვნებ, ეს დროებითია და თვითნაბადი ტალანტის ზღაპრული ოსტატობით, რომელიც ბურთით სასწაულ დრიბლინგს, პასებსა და გოლებს ქმნის, მალე ქართველი გულშემატკივარიც დატკბება.

ვფიქრობ, გსმენიათ 20 წლის ლეონ საბუას შესახებაც, რომელიც „კრასნოდარის“ მეორე გუნდის ფეხბურთელია და რუსეთის რანგით მეორე ლიგაში 14 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

სხვათა შორის, წლების წინათ მას საქართველოში კარიერის გაგრძელება შევთავაზე, მაგრამ, ბევრი თანამემამულის მსგავსად, ჩრდილოეთში თამაში ამჯობინა. რას ვიზამთ, აქამდე იგრძნობა იმ მავნებლური პროპაგანდის გავლენა, რომელმაც ძმები ერთმანეთს დაგვაშორა და, მწამს, რომ დროებით, ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდის პრობლემა გააჩინა.

რაც შეეხება ზოგად სურათს, აფხაზეთში ტარდება ჩემპიონატი, თასის, ლიგის თასისა და სუპერთასის გათამაშებები, აგრეთვე სხვადასხვა რანგის ტურნირები და ფესტივალები 60-მდე კლუბის მონაწილეობით, ხოლო 1000-მდე რეგისტრირებული ბავშვიდან საუკეთესონი ხშირად ცდიან ძალებს თანატოლთა საერთაშორისო სტატუსის მქონე შეჯიბრებებში.

არაღიარებულ რესპუბლიკათა მსოფლიო ჩემპიონატებში ასპარეზობს საერთაშორისო ორგანიზაცია CONIFA-ს წევრი იქაური ნაკრები, რომელმაც 2016 წელს საკუთარ მინდორზე უმაღლესი ტიტული მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელ ფორუმს ფიფა-ს არაერთი ლიცენზირებული აგენტი დაესწრო.

გაუწყებთ იმასაც, რომ მას შემდგე, რაც მმართველმა სტრუქტურებმა გიბრალტარისა და კოსოვოს საკითხი დადებითად გადაწყვიტეს, მსგავსი ამბიცია აფხაზებსაც გაუჩნდათ, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შესაბამის მიმართვაზე ოფიციალური პასუხი სოხუმში არ მიუღიათ.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა 25 სექტემბერს ზღვისპირეთში, „დინამოს“ სტადიონზე გამართულ აფხაზეთისა და ე. წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებთა რიგით მეოთხე ამხანაგურ შეხვედრაზეც ვთქვათ, რომელიც მეორე ტაიმის დასაწყისში ტექნიკური მიზეზით 0:0-ზე შეწყდა (წინა სამ მატჩში მეტოქეებს თანაბარი ბალანსი ჰქონდათ – თითო მოგება, ფრე და წაგება).

დავძენთ, რომ მასპინძელთა თავკაცის რანგში დებიუტი ჰქონდა ბესლან გულიას, თამაშს კი სეპარატისტული რესპუბლიკის „პრეზიდენტი“ ასლან ბჟანიაც ესწრებოდა.

**გიორგი ზოთაძე**

# ახალი ავტობუსების არის მრავლობა!..

## დედაქალაქში BMC-ს მარკის ავტობუსების და FORD-ის მარკის მიკროავტობუსების პირველი ნაკადი შემოვიდა

**მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის ფარგლებში, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ხელშეწყობით, 226 ერთეული 12-მეტრიანი, კომპრესირებულ ბუნებრივ აირზე (CNG) მომუშავე, EURO 6-ის სტანდარტის ავტობუსი შეისყიდა. მათი ნაწილი უკვე დედაქალაქშია, დანარჩენი კი 2021 წლის მარტამდე ეტაპობრივად შემოვა.**

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, სატრანსპორტო რეფორმას, რომელიც ამჟამად ხორციელდება, ქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მისივე თქმით, ავტობუსების განახლების პარალელურად დედაქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურაც წესრიგდება.

ახალი ავტობუსები გათვლილია 90 მგზავრზე, აქედან 28 დასაჯდომი ადგილით; სრულად ადაპტირებულია შშმ პირებისთვის: სალონში გამოყოფილია სპეციალური სივრცე და აქვს გადმოსაშლელი პანდუსი, ეტლით ავტობუსში ასვლის უზრუნველსაყოფად; დამონტაჟებულია თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემა, რომელიც გათვლილია თბილისის კლიმატურ პირობებზე; აქვს როგორც საინფორმაციო ხმოვანი სისტემა, შიდა და გარე ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემა, ასევე usb-დამტენები და გაჩერების დასახელების გამოცხადების ტექნიკური საშუალება.

ახალი ავტობუსების პირველი ნაკადი ათ სატრანსპორტო დერეფანზე გადანაწილდება, რომლითაც დაიწყება კომპანია „სისტრას“ მიერ შემუშავებული ახალი სამარშრუტო სქემის ეტაპობრივი დანერგვის პროცესი.

გარდა ავტობუსებისა, პროექტის ფარგლებში შესყიდულია 300 ერთეული FORD-ის მარკის, დიზელის ძრავზე მომუშავე, ევრო 5 ემისიის, ეკოლოგიურად სუფთა მიკროავტობუსი.

აღნიშნული მიკროავტობუსი, დასაჯდომი ადგილების მიხედვით, გათვლილია 17 მგზავრზე. მძღოლისა და წინა მგზავრისთვის განსაზღვრულია უსაფრთხოების ბალიშები, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების ყველა სავარძელზე დამონტაჟებულია სამწერტილოვანი უსაფრთხოების ღვედები. მძღოლისა და მგზავრების ფანჯრები იღება ელექტრონულად. მიკროავტობუსები აღჭურვილია თბილისის კლიმატზე გათვლილი გათბობა-კონდიცირების სისტემებით, გარდა ამისა, აქვს AM/FM რადიო და AU\, USB შესაერთებლები. აღნიშნული მიკროავტობუსების სრულად შემოყვანისთვის განსაზღვრულია 180 კალენდარული დღე.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის ფარგლებში, შეისყიდა და ექსპლუატაციაში გაუშვა 143 ერთეული MAN-ის მარკის 12-მეტრიანი ავტობუსი (CNG ძრავზე მომუშავე); 90 ერთეული MAN-ის მარკის 10-მეტრიანი ავტობუსი (EURO 6 ემისიის დიზელის ძრავზე მომუშავე); 220 ერთეული ISUZU-ს მარკის 8-მეტრიანი ავტობუსები (EURO 6 ემისიის დიზელის ძრავზე მომუშავე).

2021 წელს, ასევე დაგეგმილია 180 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსების შეძენა.

# იწყება ახალი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობა

**კახეთის ახალი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის მშენებლობა იწყება. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთზე, რომელიც მოძრაობის ინტენსივობით გამოირჩევა, 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის 35.2 კმ-იანი გზა აშენდება.**

მონაკვეთის პროექტირებაზე, რომელიც მსოფლიო ბანკმა დააფინანსა, ავსტრიული და ამერიკული მაღალკვალიფიციური კომპანიები მუშაობდნენ. საზედამხედველო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტენდერების გამოცხადება მიმდინარე წლის ნოემბერსა და დეკემბერშია დაგეგმილი.

თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთი, თბილისიდან კახეთის მიმართულებით დამაკავშირებელი ძირითადი მაგისტრალისა და აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონთან დამაკავშირებელ სატრანზიტო კორიდორის ნაწილია.

# კომბინირებული საკვების უნარჩენო წარმოება

**„საპარტნიორო ფონდის“ მხარდაჭერით, ხობში ფუნქციონირებას იწყებს კომბინირებული საკვების საწარმო, რომელიც პროდუქციას ცხოველის, ფრინველის, თევზისა და ლოკოკინისგან გამოუშვებს.**

საწარმო საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვას“ ერთ-ერთი პროექტია და 1 საათში 3,5 ტონა კომბინირებულ მზა საკვებს აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ კომპანია „ქარვა“ პირველად საქართველოში, ექსკლუზიურად იწყებს ლოკოკინის საკვების წარმოებას. ამ დროისათვის უკვე გაფორმებულია მემორანდუმი კომპანია „ჯეოვეტთან“, რომლის დაკვეთით მოხდება პროდუქციის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე.

წარმოება ხორციელდება პარტნიორების პირადი კაპიტალით, „საპარტნიორო ფონდის“, სოფლის განვითარების სააგენტოს, პროგრამა „აწარმოე საქართველოს“, ბანკი „ქართუსა“ და „ბაზისბანკის“ ჩართულობით.

# ავტობიზნესიც ტურიზმთან ერთად...

**კორონავირუსის პანდემიამ ავტობიზნესი ტურიზმის შემდეგ ყველაზე მეტად დააზარალა. გარდა იმისა, რომ იმპორტირებული მანქანები ადგილზეც არ იყიდება, ვეღარც რეექსპორტზე გადის. ვითარება კიდევ უფრო გართულდა სომხეთ-აზერბაიჯანის სამხედრო დაპირისპირების შემდეგ. ეს ქვეყნები საქართველოში შემოყვანილი ავტომობილების გასაღების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზარია.**

**ავტოიმპორტიორთა ასოციაცია პირველი მაისის შემდგომ ქვეყანაში იმპორტირებულ მანქანებზე განბაჟების ვადის გახანგრძლივებას ითხოვს. გაერთიანების თავმჯდომარის განმარტებით, განბაჟების ვადის 2021 წლის 1 მარტამდე გადავადება 2020 წლის 1 მაისის შემდგომ შემოსულ ავტომობილებზეც უნდა გავრცელდეს.**

ლაშა დარბაისელის თქმით, შეღავათით მხოლოდ 2020 წლის 1 მაისამდე შემოსული ავტომობილები სარგებლობდნენ, თუმცა მაისის შემდეგ საზღვარზე რაოდენობრივად გაცილებით მეტი ავტომობილი შემოვიდა. თუ ამ მხრივ შეღავათები არ დაწესდა, ერთ დროს ერთ-ერთი წამყვანი დარგი განადგურების პირას მივა.

გარდა ამისა, ასოციაცია კორონავირუსზე ტესტირებული ავტოდილერების საქართველოში შემოშვებასაც ითხოვს. გაერთიანებაში განმარტავენ, რომ ვიზიტი აუცილებლად საქმიანი უნდა იყოს და 72 საათს არ აღემატებოდეს. რეგულაციების შემსუბუქების საკითხთან დაკავშირებით ასოციაცია ბიზნესომბუდსმენის აპარატთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ავტობიზნესში არსებულ სირთულეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიც ადასტურებს. მაგალითად, 2020 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყნიდან ექსპორტზე 304.2 მლნ დოლარის ავტომობილები გავიდა, წლიური კლება 37%-ია. აქაც არსებულ მონაცემებს შედარებით აბალანსებს პირველი კვარტალის მზარდი მონაცემები. მის გარეშე კი ავტობიზნესში ვარდნა კატასტროფულია.

ზოგადად კი საექსპორტო პროდუქციის მიხედვით 14.1%-იანი მატების შემდეგ 542 მლნ დოლარით პირველ ადგილს სპილენძის მადნები და კონცენტრატები იკავებს, რომელიც რეალურად რეექსპორტია, ანალოგიურ პერიოდში საქართველოში 415 მლნ დოლარის იმავე პროდუქციის იმპორტი განხორციელდა. მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა 181 მლნ დოლარით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. 180 მლნ დოლარით მესამე ადგილზე ფერროშენადნობები გავიდა, რომლის ექსპორტიც 25%-ით შემცირდა.

პირველად ბოლო წლების განმავლობაში, 5.8%-ით 143 მლნ-მდე შემცირდა ღვინის ექსპორტი, თუმცა საერთო ვარდნის ფონზე მისი წილი 5.6%-დან 6%-მდე გაიზარდა.

ავტობიზნესში ვითარების დრამატულობას ადასტურებენ ავტოდილერებიც. როგორც ბიზნესმენი ელგუჯა ჯამაგიძემ აღნიშნავს, რეექსპორტი როგორც სომხეთის, ასევე აზერბაიჯანის მიმართულებით თითქმის შეჩერებულია.

**„ვერ ვიტყვით, რომ ავტომობილების რეექსპორტზე რეგიონში მიმდინარე ომი პირდაპირ გავლენას ახდენს, რადგან ბევრი სხვა ხელის შემშლელი მიზეზიც არსებობს. პირველ რიგში, ესაა პანდემია, რის გამოც ნაკლები მოძრაობაა.**

**პანდემია რომ არ იყოს, აზერბაიჯანში უფრო ნაკლებად იქნება რეალიზაციის პრობლემა, დიდი ბაზარია და კონტინგენტი უფრო აქტიურია, მაინც იყიდიან ავტომობილებს. სომხეთთან დაკავშირებით, პირიქით, გაყიდვები შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს. რაც არ უნდა იყოს, სომხეთის ეკონომიკა მაინც რუსეთზეა ჩამოკიდებული,შეიძლება პრობლემა ნებისმიერ მომენტში შეიქმნას.**

**ჩვენ ორივე ქვეყანაში შეგვყავს ავტომობილები. ამ ეტაპზე აქტივობა ძალიან დაბალია, რისკები გაიზარდა და ფაქტობრივად ვერ გავდივართ ამ ბაზრებზე“,** — აღნიშნა **ელგუჯა ჯამაგიძემ.**

**ბექა დანელია**

# გახშირებული კრიმინალი

## გორში ტონობით ხილი მოიპარეს, მოსახლეობა ერთადერთი შემოსავლის გარეშე დარჩა

**გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტში ვაშლის და კომშის მოსავლის მოპარვის შემთხვევები გახშირდა.** ბოლო სამი დღის განმავლობაში, ადგილობრივებს ტონობით ხილი მოჰპარეს. ათამდე ოჯახის ქურდებმა დაკრეფილი მოსავალი პირდაპირ ხილის ბაღებიდან მოჰპარეს. მოსახლეობა ერთადერთი შემოსავლის გარეშე დარჩა. ზერტელები აცხადებენ, რომ სამართალდამცველებისთვის არ მიუმართავთ, რადგან გამოძიების იმედი არ აქვთ. ადგილობრივები სოფელში გახშირებულ კრიმინალზე საუბრობენ და ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ.

## გაძარცვეს სწრაფი კვების ობიექტი „ანდა“

**სოლოლაკში სწრაფი კვების ობიექტი „ანდა“ გაძარცვეს.**

ჩამტვრეულია დაწესებულების მინის კარი და წაღებულია თანხა. ფოტომასალაში ჩანს, რომ ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ.

# კოლეგა გაგვიდოქტორდა!

**სამამულო** სპორტის ქომაგთათვის კარგადაა ცნობილი **ვაჟა დანელიას** სახელი. წლების განმავლობაში მის უაღრესად საყურადღებო წერილებს სხვადასხვა სახეობაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებზე, ქართველი მკითხველი მუდამ გულისყურით ელოდება. და აი, ოქტომბრის მიწურულს შესანიშნავმა პუბლიცისტმა და რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორმა **ვაჟა დანელიამ** სადოქტორო დისერტაცია წარმატებით დაიცვა და სოციოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

გულითადად ვულოცავთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას ამ დიდ გამარჯვებას, შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ პუბლიცისტურ, სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

# ფაზისის აკადემიის განცხადება

**გაზეთ** საქართველოს რესპუბლიკის 2020 წლის 22-23 ოქტომბრის №139-140-ში გამოქვეყნებულია მცირე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს არ შეესაბამება და არის მიზანმიმართული სიყალბე, ვინაიდან აკადემიის საერთო კრება საერთოდ არ ყოფილა მოწვეული და ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს არც აკადემიის ხელმძღვანელობა და არც მისი წევრების უმრავლესობა. წევრების მხოლოდ ის ძალზე მცირე ნაწილიც კი, ვისთვისაც მსგავსი კრების შესახებ თითქოსდა ცნობილი იყო, აცხადებენ, რომ კრებას არ დასწრებიან და ამის შესახებ მიიღეს მცდარი ინფორმაცია. ასევე, ზემოაღნიშნულ წერილში დაფიქსირებული კანდიდატურა არათუ არ არის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, არამედ მან დაახლოებით 2 წლის წინ საერთოდ დატოვა აკადემია, როგორც რიგითმა წევრმა.

ფაზისის აკადემია, მორალური და სამართლებრივი ნორმების გათვალიწინებით, იმსჯელებს პრეზიდენტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის თაობაზე. აკადემია კიდევ ერთხელ გამოხატავს ღრმა მწუხარებას მისი პრეზიდენტის, ბატონი ნუგზარ ნადარაიას გარდაცვალების გამო.

**ფაზისის აკადემიის გამგეობა**


# ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


# გამწვანდა შიომღვიმის მიმდებარე ტერიტორია

**ხის დარგვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე, 30-მდე წიწვოვანი სახეობის ნერგი დაირგო.** ეროვნული სატყეო სააგენტოს კამპანიას – „დარგე ხე“ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები – სამოქალაქო აქტივისტები, ჟურნალისტები, მსახიობები და სპორტსმენები შემოუერთდნენ. ხის დარგვის საერთაშორისო დღე 1874 წელს დაარსდა. მისი დამაარსებელი ამერიკელი ბოტანიკოსი და ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრი სტერლინგ მორტონია.

# „ათინათი“ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში

**ქართული** კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქველმოქმედო ფონდთან „ათინათი“ თანამშრომლობას იწყებს.

თანამშრომლობის ფარგლებში, ფონდი „ათინათი“ ქართულ კულტურასა და ხელოვნებას პოპულარიზაციას გაუწევს საერთაშორისო ასპარეზზე და ხელს შეუწყობს სხვადასხვა პროექტის განხორციელებას. ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით, ფონდი მოამზადებს სხვადასხვა შემეცნებით ვიდეო-რგოლს და სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილი კულტურული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას განათავსებს მედია პლატფორმაზე. ასევე სოციალური მედიის გვერდზე.

განათლების სამინისტროს ცნობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქველმოქმედო ფონდთან „ათინათი“ საგანმანათლებლო მიმართულებითაც ითანამშრომლებს – ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები უკვე განიხილეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და ფონდის დამფუძნებელმა ნათია ხუნტუამ.

# საქართველო დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე

**დოკუმენტური** ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა Doclisboa-მ წელს მეთვრამეტედ აიღო სტარტი. კორონავირუსის პანდემიის გამო, იგი წელს განსხვავებული ფორმატით, ონლაინ ტარდება. ამას გარდა, სიახლეა ისიც, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა Doclisboa-ს პროგრამა ექვს ნაწილად დაყვეს და კინომოყვარულებს ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ჰპირდებიან. ფესტივალი 22 ოქტომბერს გაიხსნა და კინომოყვარულებს პროგრამის პირველ ნაწილს 1 ნოემბრის ჩათვლით შესთავაზებს. სწორედ ამ პერიოდში ყურადღება საქართველოს მიმართ იქნება მიპყრობილი.

უწყვეტი მოგზაურობა – ამაღელვებელი ქართული კინოს რეტროსპექტივა – ასე უწოდეს ორგანიზატორებმა იმ მასშტაბურ რეტროსპექტივას, რომელსაც კინოფესტივალი წელს საქართველოს მიუძღვნის. რეტროსპექტივა დააკავშირებს წარსულსა და აწმყოს და ფესტივალის სტუმრებს შესთავაზებს ქართულ ფილმებს დაწყებული უხმო კინოს პერიოდიდან, დასრულებული თანამედროვე ნამუშევრებით.

ქართული კინოს მრავალწლიანი ისტორია მრავალფეროვანი პროგრამითაა წარდგენილი.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932


**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**


# გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 27 ოქტომბერს



**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.2181; ევრო - 3.8086;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2189;
100 რუბლი - 4.1842; თურქული ლირა - 0.4128;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8930;
1000 სომხური დრამი - 6.5279.

**ამინდი 24 ოქტომბრისთვის**
**აღმოსავლეთი საქართველო:**
ბარი - ღამე +6, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +3, დღე +25
**დასავლეთი საქართველო:**
ბარი - ღამე +10, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +25
**თბილისი:** ღამე +11, დღე +22

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge